პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 225 (11836) | სამშაბათი, 27 სექტემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

თუ მთელი მსოფლიოს ხალხები აქტიურად იბრძოლებენ, რათა ხელ-ფეხი შეუკრან მილიტარისტულ, მონოპოლისტურ ფენებს, მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნება.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები და საუბრები გლენკოვში

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

შაბათსა და კვირას — 24 და 25 სექტემბერს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის სხდომები არ ყოფილა. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ეს დღეები გაძოეყენებინა გლენკოვში, ნიუ-იორკიდან სამოც კილომეტრზე მდებარე პატარა ქალაქში გასამგზავრებლად, სადაც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლობის აგარაკი.

24 სექტემბერს დილით ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევით მასთან ერთად აგარაკზე გაემგზავრნენ უკრაინის სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ვ. პოდგორნი, ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაციისა კ. ტ. მაზურეროვი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციისა ა. ნოვოტნი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისა ტ. ჟივკოვი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისა გ. გეორგიუ-დეჟი, საგარეო საქმეთა მინისტრები და დელეგაციების სხვა წევრები.

მეორე დღეს გლენკოვში ჩავიდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ამხანაგი ვ. გომულკა და დელეგაციის წევრები.

სამწუხაროდ, გლენკოვის აგარაკზე ვერ ჩამოვიდნენ უნგრეთისა და ალბანეთის დელეგაციების მეთაურები, თუმცა ისინი მიიწვია საბჭოთა მთავრობის მეთაურმა. სახელმწიფო დეპარტამენტი დაჟინებით მოითხოვს შემზღუდველ ღონისძიებებს გენერალურ ასამბლეაზე ამ დელეგაციების მიმართ და უკრძალავს მათ მანჰეტენის რაიონის ფარგლებიდან გასვლას.

ნიუ-იორკის ხმაურიანი ქუჩების შემდეგ დელეგაციების მეთაურებს შესაძლებლობა მიეცათ პირველად ესეირნათ პარკში. ესუნთქათ სუფთა ჰაერით, ესაუბრათ ბუნების წიაღში. მაგრამ მუშაობა აქაც გრძელდებოდა.

დღის მეორე ნახევარში გლენკოვში ნ. ს. ხრუშჩოვთან შესახვედრად ჩავიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი. საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

დილიდანვე, ვიდრე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი სტუმრები გლენკოვში ჩავიდოდნენ, საბჭოთა წარმომადგენლობის აგარაკთან შეიკრიბა კორესპონდენტების, ფოტორეპორტიორებისა და კინოოპერატორების. სატელევიზიო კომპანიების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი.

საღამოს, პრეზიდენტ ნასერის გამგზავრების შემდეგ, ჟურნალისტები დაჟინებით ცდილობდნენ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვს ეპასუხა მათს კითხვებზე. ისინი მჭიდროდ შემოეხვივნენ გარს და სრულ დაღამებამდე ნ. ს. ხრუშჩოვი იძულებული იყო ეპასუხა მრავალ კითხვაზე, რომელთა მიცემას ჟურნალისტები ერთმანეთს არ აცლიდნენ.

პრეს-ჯგუფმა ჩაწერა ეს საუბარი, რომლის ანგარიშიც მოყვანილია ქვემოთ.

— გვიამბეთ თქვენს საუბარზე ნასერთან, — მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

— საუბრის დროს ჩვენ აზრები გავუზიარეთ ერთმანეთს საერთო საკითხებზე, — უთხრა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ჩვენი საუბრის მთავარი თემაა განიარაღება და ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის. მე და პრეზიდენტი ნასერი ძველი ნაცნობები ვართ და კარგი პირადი ურთიერთობა გვაქვს.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი საუბარი ნასერთან ნაყოფიერი იყო? — ჰკითხა მეორე კორესპონდენტმა.

— დიახ, მიმაჩნია, — მიუგო ნიკიტა სერგის-ძემ.

კითხვა. ფიქრობთ თუ არა ტიტოსთან შეხვედრას?

ნ. ს. ხრუშჩოვი. კონკრეტულად არ შევთანხმებულვართ ამ შეხვედრაზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს.

კითხვა. რატომ წამოხვედით მანჰეტენიდან და ჩამოხვედით აქ გლენკოვში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მანჰეტენში კურდღლები არ არიან, აქ კი არიან. მე ძალიან მიყვარს კურდღლები.

კითხვა. დასავლეთ გერმანიის გენერალმა შპაიდელმა ამას წინათ განაცხადა ვაშინგტონში, რომ დასავლეთის სამყაროს დაცვა გადატანილ უნდა იქნას აღმოსავლეთში — საბჭოთა კავშირის საზღვრებთან. რა შეგიძლიათ თქვათ ამ განცხადებაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. შპაიდელს აქ ახალი არაფერი უთქვამს. მან მხოლოდ გიმეორა ჰიტლერის ბოდვითი იდეები. ყველამ იცის, თუ რა ბედი ეწია ჰიტლერს. ისეთივე ბედი ეწევა ყველას, ვინც შეეცდება იაროს მისი გზით, ყველა შპაიდელს.

კითხვა. ინგლისური პრესა იუწყება, რომ მაკმილანი აქ მოემგზავრება, რათა შეარიგოს საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. შერიგება, უნდა ითქვას, მეტად მაგარი სიტყვაა. მაგრამ ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მაკმილანის დახმარება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში.

კითხვა. ნასერი გეთანხმებათ თუ არა განიარაღების საკითხებში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. არ მიკითხავს მისთვის.

კითხვა. გიამბოთ თუ არა მან რაიმე თავის წინადადებაზე განიარაღების შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. პრეზიდენტი ნასერი თვითონ გამოვა გენერალურ ასამბლეაზე და იტყვის თავის აზრს ამ საკითხზე.

კითხვა. რა შეგიძლიათ თქვათ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციაზე დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციაში ის არის, რომ ისინი ლაპარაკობენ განიარაღებაზე, უფრო ზუსტად, შეიარაღებისადმი კონტროლზე და ამავე დროს განაგრძობენ შეიარაღებას და აიარაღებენ ყველაზე აგრესიულ სახელმწიფოს — დასავლეთ გერმანიას.

კითხვა. რა შეგიძლიათ თქვათ თქვენს ყოფნაზე აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კაპიტალიზმის გულში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. აქ კაპიტალიზმის გულია, მე კი კომუნისტის გული მაქვს და, როგორც ჩანს, ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ ერთად ერთ პლანეტაზე. კაპიტალისტურ სამყაროში ხომ ხშირად არის ხოლმე, რომ მოხუცი და მდიდარი ქვრივი ცოლად გაჰყვება ახალგაზრდა კაცს. და ისინი ცხოვრობენ ერთად, თუმცა ალბათ ქმარს არც თუ ეგრე სწყურია დედაბრის სიყვარული, მაგრამ ცხოვრობს. **(სიცილი).**

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ კაპიტალისტურმა და სოციალისტურმა სახელმწიფოებმა საჭიროა იცხოვრონ ერთად, თუმცა მათ ერთმანეთი არ უყვართ.

კითხვა. გვითხარით, ნასერმა გამოთქვა თავისი აზრი თქვენი გუშინდელი სიტყვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში? როგორი კომენტარი გაუკეთა მას?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე უპატივცემლობას გამოვიჩენდი ჩემი სტუმრისადმი, ასეთი კითხვა რომ მიმეცა მისთვის. ამიტომ ასეთი კითხვა არც მიმიცია.

კითხვა. იქნებ მან თავისი ინიციატივით თქვა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ ეშმაკი ამერიკელი ხართ, გსურთ მათქმევინოთ, რაზე ველაპარაკე პრეზიდენტს საუბრის დროს. თქვენ შეედით კარში, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, მაგრამ ნუ ისარგებლებთ უკანა კარით (სიცილი). მე სულერთია არ გეტყვით იმ საკითხებს, რომლებიც საუბრის მსვლელობაში განვიხილეთ.

კითხვა. თქვენ აქ გაქვთ აივანი მესამე სართულზე, საიდანაც შეგიძლიათ მოაწყოთ პრეს-კონფერენციები, მსგავსად იმისა, რომელიც ნიუ-იორკში მოაწყეთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. აქ ეს საჭირო არ არის. თქვენ ნაწყენი იყავით მაშინ, რომ საუბარი მიმდინარეობდა „სხვადასხვა დონეზე“, აქ კი მე შემიძლია თქვენთან ვისაუბრო ერთ დონეზე, მიწაზე. (სიცილი).

ჩვენს დღევანდელ საუბარში მინდა დამატებით განვმარტო თვალსაზრისი, რომელიც გენერალურ ასამბლეაზე ჩამოვაყალიბე. ბ-ნა ჰერტერმა ჟურნალისტების წინაშე თავის გამოსვლაში განაცხადა, თითქოს მე ომი გამოვუცხადე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. გთხოვთ მხოლოდ. ბატონო ჟურნალისტებო, იყაგით ზუსტი და არ დაამახინჯოთ ის. რასაც მე ვლაპარაკობ თქვენთან შეხვედრის დროს.

მინდა გაგიმეოროთ ის, რაც ვთქვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს სტრუქტურის შეცვლის საჭიროების შესახებ. ჩემი გამოსვლა მიმართული არ არის ბ-ნ ჰამარშელდის წინააღმდეგ პირსონალურად. საქმე პირადად ის კი არ არის, არამედ ის, რომ ბ-ნი ჰამარშელდი ასახავს ქვეყნების მხოლოდ იმ ჯგუფის პოზიციას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ.

მაგრამ მსოფლიოში არსებობენ სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილების ქვეყნები. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ იმ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომლებიც შიდიან დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკებში. ესენი არიან აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფოები. არსებობენ, როგორც თქვენ იცით, სოციალისტური ქვეყნებიც. ისინი ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. არიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციებზე დგანან. ყველაზე ტიპური მათ შორის არიან: ინდოეთი, ინდონეზია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ბირმა, ავღანეთი, აგრეთვე ავსტრია, ფინეთი, შვეიცარია და სხვა ქვეყნები.

მაშასადამე, მსოფლიო შედგება სახელმწიფოებისაგან, რომლებიც მკვეთრად განიყოფებიან სამ ჯგუფად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კი ამჟამად იმ სახელმწიფოთა პოზიციას ასახავს, რომლებიც შედიან დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკებში. ამიტომ, როცა იგი ახორციელებს უშიშროების საბჭოს ანდა გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს, რა თქმა უნდა, მათ ახორციელებს მარტო ქვეყნების ერთი ჯგუფის, ესე იგი იმ ჯგუფის ინტერესებისათვის, რომელსაც იგი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს ხდება სახელმწიფოთა სხვა ჯგუფების — სოციალისტური და ნეიტრალური ჯგუფების ინტერესების საზიანოდ.

და აი ჩვენ მიგვიანია, რომ ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. ჩვენი აზრით, გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს უნდა ახორციელებდეს არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ერთპიროვნულად, არამედ უფრო წარმომადგენლობითი კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო, შესაძლოა, სამი მდივნისაგან შემდგარი გენერალური სამდივნო. და თუ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ აღმასრულებელ ორგანოში დაასახელებდა ბ-ნ ჰამარშელდს, ჩვენ მას აცილებას არ მივიტანდით, იმიტომ რომ ვიცნობთ მას როგორც ამ სახელმწიფოთა წარმომადგენელს.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის შენობის წინ.

(სურათი მიღებულია საკადესის ფოტოტელეგრაფით).

მაგრამ ამ გენერალურ სამდივნოში დასახელებულ უნდა იქნან კანდიდატები სოციალისტური ქვეყნებისგანაც და ნეიტრალური ქვეყნებისგანაც. მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა განხორციელების დროს მისი სამდივნო გათვალისწინებს სახელმწიფოთა სამივე ჯგუფის ინტერესებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ასეთი აგება ხელს შეიწყობს განიარაღების პრობლემის გადაჭრასაც. რატომ? ახლა ხომ არსებითად ყველა ქვეყანა ეთანხმება იმას, რომ თუ მივაღწიეთ შეთანხმებას განიარაღების შესახებ, შეიქმნით საერთაშორისო შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც გამოყენებული იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

მაშ ასე, წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ უკვე შევთანხმდით განიარაღებასა და საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნაზე. საკითხავია, ვინ იქნება ამ ძალების სარდალი?

მათი სარდალი მარშალი მალინოვსკი იქნება? იგი გამოცდილი მხედართუფროსია, მე მას კარგად ვიცნობ. მაგრამ თქვენ მაშინვე იტყვით — რატომ მალინოვსკი? ეს კანონიერი კითხვაა. ამერიკელები იტყვიან — ყველაზე უკეთესია ამ პოსტზე ნატოს შეიარაღებული ძალების ახლანდელი სარდალი, ნორსტადი დავაყენოთო. თუმცა მე მიმაჩნია, რომ მარშალი მალინოვსკი, როგორც სარდალი, ნორსტადზე უკეთესია. ნეიტრალური ქვეყნები იტყვიან — რატომ დიდი სახელმწიფოები ასახელებენ მხოლოდ თავიანთ სარდლებს, ჩვენც გვსურს, რომ ჩვენი ინტერესები აისახოს და ჩვენი სარდალი იყოს, მაგალითად, მარშალი ამერი.

გეკითხებით. ბატონებო, შეგვიძლია თუ არა შეეთანხმდეთ ამ კანდიდატურებზე? ვფიქრობ, რომ ვერ შეეთანხმდებით. თქვენ არ მიიღებთ ჩვენს კანდიდატურას, ჩვენ არ მივიღებთ ნორსტადის თქვენს კანდიდატურას, ხოლო შპაიდელს, ალბათ, თქვენ თვითონ არ დაასახელებთ (სიცილი). როგორც ჩანს, თქვენ არც ამერის კანდიდატურას დაეთანხმებით. ეს იმას ნიშნავს, რომ შეთანხმება საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნაზე საერთოდ შეუძლებელი იქნება. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებს ისე გამოიყენებენ, როგორც ახლა, თუ მათ ერთპიროვნულად მართავს მხოლოდ ჰამარშელდი, აქედან კარგი არაფერი გამოვა. ჩვენ ამას ვხედავთ კონგოს მაგალითზე.

კონგოს მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სთხოვა გაეწია დახმარება შეიარაღებული ძალებით. შეიარაღებული ძალები გაგზავნეს და მათ დაიწყეს მოქმედება კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც დახმარება ითხოვა. თქვენ იცით, რომ ამ შეიარაღებულმა ძალებმა თავიანთი კონტროლი დააწესეს აეროდრომებზე, რადიოსადგურზე, კავშირგაბმულობაზე და ამით კი არ დაეხმარნენ, არამედ, პირიქით, გააძლიერეს ლუმუმბას კანონიერი მთავრობის მუშაობა.

აქვე უნდა ითქვას, რატომ ვუჭერთ მხარს ლუმუმბას? იმიტომ, რომ ის არის კონგოელი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის დამტკიცებული კანონიერი მთავრობის პრემიერ-მინისტრი. რატომღა დაიწყეს ლუმუმბას მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება ჯარებმა, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით? იმიტომ, რომ ეს ხელსაყრელი იყო კოლონიალური იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის. მათ სურთ გადაიყენონ ლუმუმბას მთავრობა, რომელიც დგას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის პოზიციებზე და ისწრაფვის უხელმძღვანელოს მას კონგოელი ხალხის ინტერესებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი ეხმარება ჩომბეს. მაგრამ ეს ხომ კონგოელი ხალხის ინტერესების მოღალატეა, გამცემია. რომ ავიღოთ ჩომბე, ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური პიროობების შესაბამისად, ეს არის პეტლიურა. ბ-ნი ჰამარშელდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით კონგოში მხარს უჭერს პოლკოვნიკ მობუტუს, რომელიც მოქმედებს კონგოს მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ მობუტუ ხომ ავიზაკია. თუ კვლავ დაუწყებთ ძებნას ანალოგიას ჩვენი ქვეყნის ამბებთან, მაშინ იგი ვრანგელის, კოლჩაკის, ანდა ისტორიის სხვა ასეთი ნაძირალების მსგავსი ვინმეა, რომლებიც ჩვენმა ხალხმა გარეკა. ერთი სიტყვით, ძალებს, რომლებიც მოქმედებენ კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, კანონიერი პარლამენტის წინააღმდეგ, კონგოელი ხალხის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ჰამარშელდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით. ეს იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კონგოში ახორციელებს ბელგიელი კოლონიზატორების და მათი თანამგრძნობი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას და არა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების — სოციალისტური და ნეიტრალური ქვეყნების პოლიტიკას.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი. თუ ჩვენ მივაღწიეთ განიარაღებას, ხოლო მე მჯერა, რომ მომავალში ამას მივაღწევთ, — თუ ჩვენ შევქმენით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები, მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლანდელი სტრუქტურის დროს ისინი შეიძლება აღმოჩდნენ ერთი პირის, მაგალითად, ბ-ნ ჰამარშელდის სარდლობაში, რომელიც გამოხატავს მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესებს.

ამიტომ თვითონ განსაჯეთ, ბატონებო, შეგვიძლია თუ არა ჩვენ, საბჭოთა კავშირს და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს, დავეთანხმოთ ასეთ პირობებში განიარაღებას, საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნას, რომლებიც იმოქმედებდნენ ასეთი ხელმძღვანელობით? რა თქმა უნდა, არა.

შეიძლება აგრეთვე გავიგოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმ ქვეყნების ინტერესებიც, რომლებიც მათ ემხრობიან სამხედრო ბლოკებში, — ისინიც ვერ გვენდობიან ჩვენ, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იქნა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელი. ასე რომ, უნდობლობა როგორც ერთი, ისე მეორე მხარისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ერთპიროვნული მართვისადმი ურთიერთ გასაგები უნდა იქნას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოში უნდა შევიდნენ არა მარტო დასავლეთის წარმომადგენლები და სოციალისტური სამყაროს წარმომადგენელი, არამედ აგრეთვე ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელიც, რათა სამდივნოს შეეძლოს უფრო ობიექტურად მიუდგეს საერთაშორისო ხასიათის საკითხებზე გადაწყვეტილებათა შესრულებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა დედამიწაზე და ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობა.

როგორც ხედავთ, ჩვენი პოზიცია მიმართულია არა პერსონალურად ჰამარშელდის წინააღმდეგ. ჩვენ ვეძებთ უფრო სრულყოფილ ორგანიზაციულ ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური წყობილების ყველა სახელმწიფოს მშვიდობიან თანაარსებობას, რათა გადაწყვეტილებანი, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იღებენ, ზიანს არ აყენებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალ ამა თუ იმ ქვეყნების ინტერესებს. ასეთია ჩვენი პოზიცია. ეს სრულიადაც არ არის აგრესიული, არამედ, პირიქით, ძალიან მშვიდობიანი პოზიციაა. და ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ბ-ნ ჰამარშელდთან, თუ იგი იქნება გარკვეული ქვეყნების წარმომადგენელი და თუ მასთან ერთად თანასწორი რწმუნებებით სამდივნოში წარმოდგენილი იქნებიან სოციალისტური და ნეიტრალური ქვეყნები, რათა ერთად გადაწყვიტონ ყველა საკითხი.

ჩვენ იმას კი არ მოვითხოვთ, რომ ჰამარშელდი შეიცვალოთ ჩვენი კანდიდატით. არ შეიძლება აგრეთვე ისეთი კაცი მოიძებნოს ამ პოსტისათვის, რომელიც იქნას ერთი, მაგრამ სამპიროვანი, წარმოადგენდეს ერთბაშად სახელმწიფოთა სამ ჯგუფს. ეს არ შეიძლება. მართალია, ამბობენ, რომ ღმერთი იყო სამპიროვანი. მაგრამ იგი არავის არ უნახავს. ამიტომ, დაე იგი იყოს მორწმუნეთა წარმოდგენაში. გაერთიანებული ერების სამდივნო კი ჩვენ გვინდა ვიყოლიოთ სამპიროვანი.

უკვე დაბნელდა. ჩაწერა მეტად ძნელია, მე ვიფიქრთხილდები თქვენს მხედველობას, ბატონო ჟურნალისტებო, თქვენ იგი გამოგადგებათ (სიცილი). მოდით დავამთავროთ ეს საუბარი.

ჟურნალისტები მადლობას უხდიან ნ. ს. ხრუშჩოვს.

გვიან საღამოს დამთავრდა შრომითი დღე გლენკოვში.

მეორე დილით, კვირას, ნ. ს. ხრუშჩოვთან მოვიდნენ პოლონე-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ახალი შრომითი გამარჯვება

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ შეასრულა ცხრა თვის გეგმა

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43 წლისთავის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვადამდე, 20 სექტემბერს, შეასრულეს მოლიანი პროდუქციის, დიდ მნიშვნელოვან სახეობათა ნაწარმის გამოშვებისა და კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმა. გასული წლის შესაბამისი პერიოდის მრეწველობის პროდუქციის დონე გადაჭარბებულია 10 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გადიდდა 6 პროცენტით, თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ზეგეგმითმა ეკონომიამ შეადგინა 70 მილიონი მანეთი.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, მარგანეცის მადანი, ფეროშენადნობი, ავტოთვითმცლელები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ცემენტი, ღვინო, ბორცი.

განვლილ პერიოდში საქართველოს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სამრეწველო საწარმოებმა აითვისეს ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვება, დაინერგა მთელი რიგი დიდი ტექნიკური სიახლეები. მარტო ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობაში დაიწყო 17 ახალი სახეობის ნაკეთობათა სერიული წარმოება. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ დაამზადა დოლური ტიპის 28 თანამედროვე მილდასამუშავებელი ჩარხი-ავტომატი და ნახევარავტომატი, რომლებიც უკვე დაიდგა ჩელიაბინსკის მილსაგლინავი ქარხნის ნაკადურ ხაზში. რუსთავსა და ქუთაისში აითვისეს კოშკურა ამწეებისა და ჩატვირთი ელექტროტუმბოების წარმოება. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის სატვირთო ელექტროტუმბოებს წარმოება. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში დაინერგა საგლინავი დგანის 900/750 ნამზადის ტრანსპორტირების უბნის მართვის ავტომატიზაცია. განხორციელდა 27 ჩაის ფაბრიკის ოლერის საამქროების მექანიზაცია, რამაც მათი სიმძლავრე ჩაის ფოთლის გადამუშავების დარგში გაადიდა 13.000 ტონით.

თვის ბოლომდე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა გამოუშვებს ასობით მილიონი მანეთის პროდუქციას გეგმის გადამეტებით. (საქდესი).

მხატვარ ელენე ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენა

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერიაში გაიხსნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე ექსპონირებულია მხატვრის დაახლოებით 500 ნაწარმოები. მისი შემოქმედების თემა მრავალფეროვანია. ძირითადად მხატვრის ნამუშევრები მიძღვნილია ჩვენი სინამდვილისადმი. დიდი ოსტატობით გამოირჩევა სამგორის სარწყავი არხის მშენებლობის, საბჭოთა ინდუსტრიის ამსახველი ტილოები, პეიზაჟები საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ცხოვრებიდან, სურათები ისტორიულ თემებზე.

ელენე ახვლედიანის შემოქმედების თავისებურებაა უნარი — დაინახოს ცხოვრება მთელი მრავალფეროვნებითა და თავისებურებით. მისი ტილოების ფერები ბუნებრივია.

ელენე ახვლედიანი არის აგრეთვე სხვადასხვა თეატრალური, საოპერო დადგმების, კინოფილმების ესკიზების დახელოვნებული ოსტატი. გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე ბევრი გრაფიკული ნამუშევარი და მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა ნაწარმოებთა ილუსტრაციები.

თბილისის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი ინტერესით ეცნობა ელენე ახვლედიანის ნამუშევრების ექსპოზიციას.

26 სექტემბერს გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა **ვ. პ. მეჟავანაძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, ფ. დ. დუმბაძემ.** (საქდესი).

მეჯი ქართული საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინო!

თათგირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში გაიმართა ხარისხოვანი მეღვინეობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესებისადმი მიძღვნილი თათბირი. თათბირს დაესწრნენ მევენახეობის რაიონების პარტიის რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, მევენახეობის დიდი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, მეღვინეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ვ. მჟავანაძემ, გ. ჯავახიშვილმა, გ. ჯიბლაძემ, გ. ჩოგოვაძემ, ე. შევარდნაძემ.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. მჟავანაძემ.

მოხსენება გააკეთა სამტრესტის მმართველმა ამხ. დ. რომელაშვილმა.

ამხ. დ. რომელაშვილის მოხსენება

ეს თათბირი არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქარ ელოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთი ღონისძიება, რომლის მიზანია მევენახეობის შემდგომი განვითარება და ჩვენი სუფრის ღვინოების, შამპანურისა და კონიაკის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება. ამ საკითხის გადაუდებლობა და აქტუალობა განისაზღვრება იმ დიდი ამოცანებით, რომლებიც დასახულია შვიდწლიანი გეგმით სახალხო მეურნეობის ამ დარგში. პარტიის ისტორიული XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით განსაზღვრულია ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი მძლავრი განვითარების ფართო პერსპექტივები. საბჭოთა ადამიანებს სულ უფრო მზარდი რაოდენობით უნდა მიეცეთ მაღალხარისხოვანი ქართული სუფრის ღვინოები, რომლებიც დიდი მოთხოვნილებაა.

შვიდწლედის დაწყებიდან შესრულებულია დიდი მუშაობა მეღვინეობის განვითარებისა და გაუმჯობესების, ღვინის მრეწველობის ტექნიკური აღჭურვის საქმეში. უკანასკნელ ორ წელიწადში კაპიტალური დაბანდება სამტრესტის სისტემაში შეადგენს 265 მილიონ მანეთს — მეტს, ვიდრე წინა ოთხ წელიწადში. თუ 1958 წელს ყურძნის პირველადი დამუშავების ღვინის ქარხნების სიმძლავრე 93 ათას ტონას შეადგენდა, ახლა იგი 50 პროცენტით გადიდდა. მომდინარე წლის დამლევს მეორადი მეღვინეობის (ჩამოსასხმელი) ქარხნების სიმძლავრე აყვანილ იქნება 9.332 ათას დეკალიტრამდე ნაცვლად 1958 წლის 5.344 ათასი დეკალიტრისა. ერთიორად გაიზიდება სამარკო ღვინის მასალის საცავების მოცულობა. წარმატებით მიმდინარეობს მშენებლობა ღვინის შესანახავი შვიდი კოლმეტრი სიგრძის ვაგონსახლის, რომელიც ყაზახეთის რაიონში შენდება. ეს უნიკალური ნაგებობა ნავარაუდევია კლდეში ორი მილიონი დეკალიტრი ღვინის შესანახავად. ერთიორად და მეტად გაიზიდა რკინაბეტონის რეზერვუარების რაოდენობა. შემოტანილია დიდძალი ხის ტარა და ქვევრი. ახლა ჩვენს ღვინის მრეწველობას შეუძლია გადაამუშაოს არა მარტო 170 ათასი ტონა ყურძენი, რომლის მიყიდვა სახელმწიფოსათვის იკისრეს სოფლის მშრომელებმა, არამედ მეტიც.

განხორციელებულია ღვინის მრეწველობის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ღვინის წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. ფართოდ დანერგილია ღვინის თერმული დამუშავება სითბოთი და სიცივით. ღვინის ყველა დიდ ქარხანაში დადგმულია ავტომატური ან ნახევრადავტომატური ჩამოსასხმელი ხაზები, გაყვანილია შუშის მილსადენები. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ღვინოების ხარისხი, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. ძვირფასი ტექნიკური სიახლენი განახორციელეს ჩვენმა ინჟინრებმა, კონსტრუქტორებმა, წარმოების ნოვატორებმა.

მიუხედავად ამისა, ღვინის მრეწველობაში არის მოძველებული კონსტრუქციის მოწყობილობა, რომელიც არ შეეფერება თანამედროვე ხარისხოვანი მეღვინეობის მოთხოვნებს. დეფექტები ახასიათებს მანქანებსა და დანადგარებს, რომელშაც უშვებს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა. ეს პირველ რიგში იმის შედეგია, რომ ქარხანას მეტად ცუდად ამარაგებენ უყანგავი ლითონმასალებით, რომლებიც ესოდენ საჭიროა ღვინის მრეწველობისათვის.

უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს დაწყებული მუშაობა ღვინის წარმოების მძლავრი ბაზის შესაქმნელად. მშენებლობის სამინისტრომ უნდა დაიჩქაროს ღვინის ქარხნების მშენებლობა თბილისში, ნაფარეულში, მუკუზანში, ახმეტაში, ბოდბე-მაღაროში, ზესტაფონში, ამაღლებაში, ორჯონიკიძეში, ზუგდიდში, ცაგერსა და სტალინირში. მომავალ წელს დაიწყება ყურძნის გადასამუშავებელი ქარხნების მშენებლობა წითელწყაროში, კარდანახში, ტიბაანში, ოკამში, ჩამოსასხმელი ქარხნებისა ბათუმში, გორში, სოხუმში, მოსკოვში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭმო მოწოდებულია ეს ახალშენებლობანი უზრუნველყოს სახსრებითა და მასალებით.

ცნობილია, რომ ღვინის, შამპანურის, კონიაკის ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია ყურძნის ხარისხზე. აქედან გამომდინარეობს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უზრუნველყოფილ იქნას ღვინის მრეწველობა მაღალხარისხოვანი ნედლეულით. მაგრამ ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოწვეულია მოსავლის კრეფის, დახარისხებისა და ტრანსპორტირების ცუდი მომზადებით. შარშან, მაგალითად, სამტრესტის მიერ შესყიდული მთელი ყურძნის — 117 ათასი ტონის ნახევარზე მეტი არ შეეფერებოდა შაქრიანობის დადგენილ პროცენტულ ნორმებს. განსაკუთრებით დაბალი ხარისხის ყურძენი დამზადდა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

წლეულდელი კლიმატური პირობები ხელს უწყობენ მაღალხარისხოვანი ყურძნის დამზადებას ყველა რაიონში. საჭიროა ორგანიზებულად მოვაწყოთ ახალი მოსავლის ყურძნის კრეფა და გადამუშავება, მნიშვნელოვნად გავადიდოთ სამარკო, ნახევრადტკბილი ნატურალური და ორდინარული ღვინოების წარმოება, აგრეთვე საუკეთესო მასალის გაშომუშავება შამპანურისა და კონიაკისათვის. არ დაეშვათ 19 პროცენტზე ნაკლები შაქრიანობის ყურძნის კრეფა.

სამუშაოთა უნარიანი ორგანიზაციით, ტიანი რკინაბეტონის ბუტები და რეზერვუარები.

უკანასკნელ წლებში რამდენიმე შეანელეს ყურადღება წითელი ღვინოების დამზადებისადმი, ისინი კი არაფრით არ ჩამორჩებიან ცნობილ ფრანგულ ღვინოებს. შემცირდა აგრეთვე წითელი ყურძნის ჯიშების ფართობები. ეს დიდი ნაკლია და საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რომ იგი აღმოიფხვრას რაც შეიძლება მალე.

ბრძოლა ღვინის მაღალი ხარისხისათვის იწყება ვენახში, მას უნდა მიექცეს ჩვენი ყურადღება. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყურძნის უხვი მოსავალი შეეფარდებოდეს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. საჭიროა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყოველი სპეციალისტი მეღვინე თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი იყოს.

პროფესორ ვ. ქანთარიას სიტყვა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგე

ყურძნის კარგი მოსავლის მიღების ძირითადი ფაქტორია (მხედველობაში მიღებულია რაოდენობა და ხარისხი) აგროწესების ზუსტი დაცვა. პრაქტიკოსებისა და მეცნიერების მრავალი წლის გამოცდილებით შემუშავებულია ვაზის მოვლის მწყობრი სისტემა. სამწუხაროდ, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სავსებით როდი იცავენ და ასრულებენ აგროწესებს. ვენახების მოვლის ხერხები განუწყვეტლივ უმჯობესდება. ბევრი სასარგებლო რამ შემოაქვთ წარმოების ნოვატორებს, სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს. ახალი და პროგრესული საჭიროა ყველა მევენახის კუთვნილება გავხადოთ, მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ აროწესებს ყველა მეურნეობაში იცავდნენ. ვაზის განვითარებაში, მისი მოსავლიანობის ზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გასხვლას, მწვანე ოპერაციებს, მკურნალობას და სხვ. ვაზის ფორმის არჩევას განსაზღვრავს უპირატესად ადგილობრივი პირობები: ჰავა, ნიადაგი, ვაზის სახეშირე და სხვ. ახლა ჩვენში ფართოდ მიმართავენ ვაზის თავისუფალ გფორმებას, რაც ხელს უწყობს კარგი მოსავლის მიღებას. მაგრამ მთელ რიგ მეურნეობებში გაფორმება წარმოებს არასწორად, რაც ხშირად იწვევს ვაზის გადატვირთვას კვირტებით და რაც უარყოფით გავლენას ახდენს მცენარის შემდგომ განვითარებაზე. საჭიროა მოწესრიგდეს მწვანე ოპერაციების წარმოებაც, რომელსაც ეკუთვნის ზედმეტი ყლორტების შეცლა, ყლორტების წვერების წატეხა და სხვ. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიება იხმარონ ვაზის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ვაზის მკურნალობის ყოველ პროცესს უნდა მივუდგეთ ადგილობრივ თავისებურებათა, ამინდის პირობების, ვაზის ჯიშის მიხედვით. არ შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ ჩვენი ვენახები დაიბინონ ავადმყოფობამ და მავნებლებმა. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ჩვენ ახლა შეგვიძლია წარმატებით განვახორციელოთ პროფილაქტიკური ღონისძიებანი ვაზის ისეთი დაავადების წინააღმდეგაც კი, როგორიც არის ქლოროზი.

შვიდწლედში ახალი ვენახების დიდი ფართობები უნდა გავაშენოთ. ეს უნდა გაკეთდეს ისეთი ვარაუდით, რომ შემდეგში ვენახები გამოსადეგები იქნას მანქანებითა და მექანიზმებით დამუშავებისათვის.

ამხ. ა. დავითაშვილის სიტყვა

პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ საუკეთესო მიწები, რომლებზეც შეიძლება მივიღოთ ხარისხოვანი ყურძენი, ციგვომბორის მთის კალთებია. ეფიქრობ, რომ მთის კალთებზე ვენახების გაშენებას ვერ დავკერძდებით. ყურძენი საუკეთესო სამარკო ღვინოების წარმოებისათვის შეიძლება მივიღოთ ალაზნის ველის მიწებზეც, რომელსაც რატომღაც უხალისოდ იყენებენ ამ კულტურისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ ჩვენმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა შეიმუშაონ ველში ასათვისებელი მიწების მორწყვის სწორი სისტემა, დაეხმარონ კოლმეურნეობებს ახალი ვენახების მოწყობაში.

ხარისხოვანი ღვინოების მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლეულის პირველად გადამუშავებას და შემდგომ დამუშავებას. მაგრამ ამ საქმეში არის ნაკლი. ჩვენი რაიონის ღვინის ქარხნების უმეტესობას დღემდე არ შეუძლია უზრუნველყოს ყურძნის დროზე და სანიმუშოდ გადამუშავება. საცავების ტაგადონის ნაკლებობის გამო მაჭრის დუღილის პროცესი ხშირად წარმოებს ღია ცისქვეშ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მის ხარისხზე. გურჯაანის, მუკუზნისა და სხვა ღვინის ქარხნებს მაცივარი-დანადგარები არა აქვთ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ღვინის მასალა წარმოებისთვის ახაშენიდან მიაქვთ თბილისის ღვინის ქარხანაში, მაგრამ გადატანის დროს ხომ მასალის ხარისხი უარესდება.

ამხ. ა. ასათიანის სიტყვა

პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი

მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანეს. ჩვენ ვვარაუდობთ საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ სულ ცოტა 73 ცენტნერი ყურძენი. ეს გვინერგავს რწმენას, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ღირსეულად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის შესახებ.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაწეულია დიდი მუშაობა მოსავლის ორგანიზებული კრეფის უზრუნველსაყოფად. საჭირო რაოდენობით დამზადებულია ტარა, შეკეთებულია გზები და სხვ. ყველაფერია გაკეთებული იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ რაიმე შეფერხება ყურძნის გადაზიდვისა და მიღების დროს.

გადაწყდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი მოსავალი მიეყიდოს და გადაეცეს სახელმწიფოს. პატრიოტული თაოსნობით გამოვიდნენ ჩვენი რაიონის კოლმეურნეები, მუშები და მოსამსახურეები, რომლებსაც ვენახები აქვთ საკარმიდამო ნაკვეთებზე. მათ გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ ყურძნის მთელი მოსავალი.

სამტრესტმა გააფართოვა რაიონში არსებული ღვინის ქარხნების ტევადობა. მაგრამ არის იმის საფრთხე, რომ ვერ შეძლებენ მთელი ყურძნის გადამუშავებას. სამტრესტმა ახლავე უნდა მიიღოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს მთელი მოსავლის გადამუშავება.

ამხ. ვ. გელაშვილის სიტყვა

წინანდლის ღვინის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის მთავარი მეღვინე

ჩვენი კოლექტივი ღონისძიებებს არ იშურებს, რათა შეინარჩუნოს და გაამრავლოს სახელგანთქმული კახური ღვინოების კარგი სახელი. მთავარ ყურადღებას ვაქცევთ ყურძნის გადამუშავების ხარისხის გაუმჯობესებას.

მუხის მერქნის ნაკლებობის გამო შეგუდექით რკინაბეტონის რეზერვუარების მშენებლობას. მაგრამ ისინი ცუდად მოქმედებენ ღვინოზე. საქმე ის არის, რომ სამშენებლო ორგანიზაციები ამ რეზერვუარების მოსპირკეთებლად იყენებენ არაკეთილხარისხოვან მასალას. ჩვენ განიცდით ღვინის მასალის შესანახავი შენობების დიდ ნაკლებობას. სამტრესტმა უნდა მიიღოს ღონისძიებანი ღვინის სარდაფების მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად. წარმოიშვა საჭირობა თელავში ბიგოს შუშის ტარის ქარხანა.

თათბირზე სავსებით სწორად დაისვა საკითხი ღვინოების დამზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ. სუსტად ინერგება სითბოთი და სიცივით ღვინის დამუშავების პროგრესული ხერხი. მთელ რიგ ღვინის ქარხნებს არა აქვთ მაცივარი დანადგარები.

ქართული ღვინოების წარმოების ტექნოლოგიის დამუშავების, მათი დაძველების საკითხებზე ნაყოფიერად შრომობენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები. მაგრამ საჭიროა, რომ ისინი უფრო მეტს გვეხმარებოდნენ.

ამხ. ზ. ბიძინაშვილის სიტყვა

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი

მევენახეობა წამყვანი დარგია სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში. საოკეთესო ჯიშების ვაზის ვენახები ჩვენში ბოლოსათვის 1.700 ჰექტარ ფართობზე. შვიდწლედის ბოლოსათვის მათი ფართობი აყვანილ იქნება 5.200 ჰექტარამდე. ამავე დროისათვის სამშობლო მიიღებს 23 ათას ტონაზე მეტ ყურძენს.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში არსებულ ღვინის ქარხნებს არ შეუძლიათ ზუსტად ნორმალური ალდამუშავება, რომელიც მეურნეობებში და კოლმეურნეებს. მუშებისა. და მოსამსახურეების საკარმიდამო ნაკვეთებზე იკრიფება. ამიტომ საჭიროა დაჩქარდეს ინაგისა და ტიბაანის ღვინის გადასამუშავებელი ქარხნების გაფართოების სამუშაოები.

სახელგანთქმულ ჯახურ ღვინოებს ყოველთვის ქევრებში ამზადებდნენ. მაგრამ ამის ნაკლებობის გამო ქვევრებში გადამუშავდება მხოლოდ ყურძნის ნაწილი. ამისათვის, რომ გადიდდეს ღვინის წარმოება, სამტრესტმა სიღნაღში უნდა ააგოს სპეციალური თიხის ჭურჭლის დასამზადებელი დიდი ქარხანა.

საჭიროა მეტი ვიმუშაოთ ვენახებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის საკითხებზე, რაც შესაძლებელს გახდის პლანტაციების დამუშავების აგროტექნიკის გაუმჯობესებას, გადიდებს შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს ყურძნის თვითღირებულებას. საჭიროა გადიდეს ვიწროგაბარტიანი ტრაქტორების, შიფრქვევიანისა და სასხურებლების, სამყნელი მანქანების, შპალერზე ვაზის გადასაყვანი მავთულის გამოშვება.

ამხ. ე. ხარატაშვილის სიტყვა

ზესტაფონის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე

საქართველო საბჭოთა მეღვინეობის მარგალიტია. მაგრამ ჩვენი ღვინოების წარისხი ნელა ვოსობლიდება. ამისი ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ არასაკმაოდ ვნერგავთ ქართული ყურძნის სახელგანთქმულ ბეკერ ჯიშს. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში გავრცელდა მხოლოდ ციცქა, ცოლიკაური, ხოლო ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიც არის კრახუნა, ოცხანური საფერე, კაბისტონი, იმერული, არ შენდება.

იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ახალი ვენახების გაშენების შვიდწლიანი პროგრამა, საჭიროა შეიქმნას მძლავრი სანერგე მეურნეობანი, მოეწყოს სარგავი მასალის წარმოება. ახალი ფართობების ათვისების დროს გულდასმით უნდა შეირჩეს მიწის ნაკვეთები. მთის კალთები უპირატესად გამოყენებულ უნდა იქნას შამპანური ჯიშების ვაზის გასაშენებლად.

ამხ. გ. ხუსკივაძის სიტყვა

პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი

ჩვენი რაიონი დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია. ჩვენი მევენახეები და მეღვინეები წარმოებაში ნერგავენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ნოვატორთა მოწინავე გამოცდილებას.

ვენახების ფართობების მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით ისმება საკითხი ჯიშების სწორი განლაგების, მიწის მასივების რაციონალურად გამოყენების შესახებ შამპანური, ნატურალურად ტკბილი და შუშხუნა ღვინოების გამოშვების გასაადიდებლად. შვიდწლედში რაიონში გაშენდება 1.300 ჰექტარი ახალი ვენახები. მთელ ამ ფართობზე დაირგვება ისეთი შესანიშნავი ჯიშების ვაზი, როგორიც არის ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური საფერე. რაიონში გამოპყავთ ამ ჯიშების სანერგე მასალა.

ღვინის მრეწველობის მუშაკებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული სუფრის ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთ ღვინის ქარხანაში არ იცავენ ღვინის წარმოების ტექნოლოგიას ყურძნის ჯიშების მიხედვით. მთელი რიგი იმერული ღვინოების დამზადების დროს რატომღაც არ იყენებენ ამ ღვინოების დამზადების ისტორიულად შემუშავებულ ტექნოლოგიას.

სტაბილური მოსავლის მიღებას ხელს უშლიან ვაზის დაავადებანი და სასოფლო-სამეურნეო მავნებლები, რომლებიც განსაკუთრებით მრავლდებიან წვიმიან ამინდში. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებს ცუდად ამარაგებენ საჭირო ქიმიკატებით ვენახების სამკურნალოდ. საკმაო რაოდენობით არ შემოაქვთ მინერალური სასუქები.

ამხ. დ. ძიაფშიპას სიტყვა

აფხაზეთის ღვინის კომბინატის დირექტორი

ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოიდევნენ ყურძნის რაოდენობას და ივიწყებენ ხარისხს. გუდაუთის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ჰექტარზე 250 ცენტნერი ყურძენი მიიღო, მაგრამ ყურძნის შაქრიანობა მხოლოდ 13,3 პროცენტს შეადგენდა. მოსავალი უხვია, ხარისხი კი ცუდი. ასეთი ყურძნისაგან კარგი ღვინო, რასაკვირველია, არ გამოვა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეურნეობა ყოველ წელს გეგმავს ჰექტარზე 150-200 ცენტნერი ყურძნის მიღებას. და ეს უკვე მეხუთე წელიწადია, რაც საბჭოთა მეურნეობა არაკონდიციურ ყურძენს აბარებს.

ქართული ღვინოები ფართოდ ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც. მაგრამ ჩვენ გარეგნულად ცუდად ვაფორმებთ ჩვენს პროდუქციას. ეტიკეტებს აყეთებენ უშნოდ, არახარისხოვანი ქაღალდით. ბოთლები დაცობილია ცუდი საცობით. არა გვაქვს სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ბოთლები.

ამხ. ა. ჩიგილაშვილის სიტყვა

თბილისის № 2 ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე

თვალსაჩინოა წარმატება, რაც უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში მიღწეულია ხარისხოვან მეღვინეობაში. ქართულ ღვინოებზე მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა. ეს შედეგია დიდი მუშაობისა ღვინოების წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში, მეღვინეობის საწარმოთა გაფართოებასა და უახლესი დანადგარებით, ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზებით აღჭურვაში. მიუხედავად ამ წარმატებისა, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ჩვენი პროდუქცია აკმაყოფილებდეს მოახმარებელს. უნდა ვაზრუნოთ სამარკო, ორდინარული ღვინოების გაუმჯობესებისათვის.

მეღვინეები სერიოზულ პრეტენზიებს უყენებენ კონსტრუქტორებსა და ინჟინრებს — ღვინის მრეწველობის საწარმოებისათვის ახალი ტექნიკის შემქმნელებს. საკმაო რაოდენობით არ არის ბოთლსარეცხი მანქანები. ცოტას ვიღებთ მაღალ მარკის ღვინის ბენტონიტს. დღემდე მექანიზებული არ არის მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები.

ამხ. გ. თუშმალიშვილის სიტყვა

სამტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსი

ჩვენი რესპუბლიკის ღვინის მრეწველობა განსაკუთრებული ჩქარი ტემპით ვითარდება. წელს მეღვინეობის საწარმოები გადაამუშავებენ ღვინის მასალას თითქმის 30 პროცენტით მეტს, ვიდრე გასულ სეზონში.

მგეგმავი, მომმარაგებელი ორგანოების, ღვინის მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელების, მანქანათსამშენებლო საწარმოებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების კოლექტივების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ყურძნის გადასამუშავებელი და ჩამოსასხმელი ქარხნების, ტექნიკური შეიარაღების განუწყვეტელი გაუმჯობესების, ღვინოების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების საკითხები.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მოსავლის გადამუშავების სწორ ორგანიზაციას. ჩვენი ღვინის ქარხნები ნავარაუდევია ახალი მოსავლის გადასამუშავებლად დაახლოებით 20 დღეში. ზოგჯერ კი მთელი პროდუქციის 50-55 პროცენტი 5 დღეში შემოდის. ეს იწვევს შეფერხებას მუშაობაში. ყურძენი ვენახებიდან ქარხნებში თანაბრად უნდა მოდიოდეს. ადგილებზე უნდა შემუშავდეს მოსავლის აღების კალენდარული გეგმა-გრაფიკი. ამ საქმეში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა დეხმარონ მეღვინეობის საწარმოთა მუშაკები.

მოახმარებელი ხშირად გვისაყვედურებენ იმას, რომ ერთნაირ სამარკო ღვინოებს სხვადასხვა ღირსება აქვთ. ეს გამოწვეულია საკუთაო მასალის არაკეთილხარისხოვნობით. უნდა ვიზრუნოთ საკუთაო ბაზების შექმნისათვის, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ცალკეული ორდინარული ღვინოებისათვის. ეს ხელს შეუწყობს ხარისხის, შეამცირებს მათს თვითღირებულებას.

ამხ. დ. მამისაშვილის სიტყვა

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

მევენახეობა ჩვენი არტელის სიმდიდრის, ველისციხელი მშრომელების სიუხვისა და შეძლებულობის წყაროა.

კოლმეურნეებს უყვართ ვაზი, ამ ძვირფასი კულტურის მოვლას ბევრ შრომასა და ენერგიას ანდომებენ. მათი ბეჯითი შრომა უხვად ნაზღაურდება.

კოლმეურნეობა ყოველ წელს ასრულებს სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის გეგმას.

შვიდწლედის მეორე წელი ველისციხელმა მევენახეებმა გაატარეს მაღალხარისხოვანი ყურძნისათვის ბრძოლის ნიშნით. [illegible] ველისციხის ღვინის ქარხანა [illegible] 21-24 პროცენტი შაქრიანობის ხელდეულს.

თელაველ მევენახეთა მიმართვამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ჩვენში. ჩვენ გადავწყვიტეთ სახელმწიფოს მივყიდოთ ყურძნის მთელი მოსავალი.

ამხ. ო. ანანიაშვილის სიტყვა

სასურსათო მანქანათმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი

თათბირის მონაწილეებმა კონსტრუქტორების ყურადღება მიიქციეს იმის, რომ საჭიროა დაჩქარდეს დიდი წარმადობისა და სრულყოფილი მანქანების შექმნა ღვინის მრეწველობისათვის, ჩვენი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა ამ მხრივ გარკვეული მუშაობა შეასრულა. შემუშავებულია სქემა მექანიზაციისა ბადაიურის, საგარეჯოსა და ბოლნისის ღვინის ქარხნებში. ჩვენ შეგქმენით ბოთლსარეცხი და ჩამოსასხმელი მანქანები, კასრსარეცხი მანქანის პროექტი. წარმოებაში გადაცემულია მთელი რიგი სხვა მანქანები.

თქმა არ უნდა, ჩვენს მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. ბევრ მანქანასა და დანადგარს აქვს დეფექტები. ჩვენ მათ აღმოვფხვრით. წარმოების მუშაკებთან თანამშრომლობით მეცნიერები და კონსტრუქტორები გაკეთებენ ყველაფერს, რათა ღვინის მრეწველობა უზრუნველყონ სრულყოფილი მანქანებით და დანადგარებით, რომლებიც ამსუბუქებენ შრომას,

ამხ. ვ. მჟავანაძის სიტყვა

უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში რესპუბლიკაში შესრულდა დიდი მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ვენახების გაშენებისათვის, ქართული ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. 1954 წლიდან გაშენებულია 18 ათასი ჰექტარი ვენახი. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებმა ერთიორად გაადიდეს ვენახების ფართობები, დიდი ვენახები გაშენდა კოლმეურნეობებშიც. ახლა ისინი 70 ათას ჰექტარს შეადგენენ. ამასთან საზოგადოებრივ სექტორში მეტია.

მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შრომატევადი დარგია, ხოლო მეღვინეობა არის ხელოვნება, რომელიც დიდ ცოდნას, ოსტატობას მოითხოვს. დამსახურებისამებრ უნდა მიეზღოთ მევენახეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, მეცნიერებს, ვენახების შრომელებს, რომ ცოტა როდი იშრომეს და შრომობენ იმისათვის, რომ გაადიდონ ქართული ღვინოების სახელი.

საქართველოს საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი უჭირავს სუფრის ღვინოების ხარისხის მიხედვით. აქ ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ჩვენს ღვინოებს არაერთგზის მიუღიათ მაღალი შეფასება არაერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებზე. მაგრამ ჩვენ უნდა გვექნეს და ვიდეოდეს გზაჭეს შესაძლებლობა მივაღწიოთ იმას, რომ გამოფენებსა და კონკურსებზე წარდგენილი იყოს უფრო მეტი სხვადასხვა სამარკო ქართული ღვინო და რომ ყველა ისინი ოქროს მედლებს იღებდნენ.

მთელი რიგი რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მოწინავე ადამიანების მაჩვენებელი მოწმობენ, რომ ყურძნის უხვი და ხარისხოვანი მოსავალი შესაძლებელია მივიღოთ ყველგან. საჭიროა მხოლოდ სიყვარულით მოვუაროთ ვაზს, დროზე შეასრულოთ აგროტექნიკის წესები. ამ მხრივ საგულისხმოა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხისა და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობის ვენახები. სამწუხაროდ, ეს არ შეიძლება ითქვას მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს რაიონების ვენახებზე.

ცოტა ფაქტი როდია, როცა ზოგიერთი კოლმეურნეობის ვენახებში წარმატებით იყენებენ აგროტექნიკის კომპლექსს, ვაზის დამუშავების პროგრესულ მეთოდებს, ხოლო მეზობელ კოლმეურნეობებში ვენახები უპატრონოდ არის მიტოვებული. გასაკვირვილი როდია, რომ ზოგ მეურნეობაში მოსავალი წლითიწლობით იზრდება, სულ უფრო უმჯობესდება ყურძნის ხარისხი, ხოლო სხვა კოლმეურნეობათა მუშაობის მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელი არ არის. ამოცანა ის არის, რომ უკლებლივ ყველა კოლმეურნეობაში დროზე და ხარისხოვნად განხორციელდეს ვაზის მოვლის სავალდებულო წესები: დროზე გაისხლას, შესრულდეს მწვანე ოპერაციები, მკურნალობა და სხვ. არ შეიძლება დაშვებულ იქნას, ხოლო ეს ზოგან ხდება, როცა ვენახების მწკრივთა შორის ითესება სიმინდი, ლობიო, სოია. შარშან მევენახეობისა და მეღვინეობის საკითხთა რესპუბლიკურ თათბირზე მე ვლაპარაკობდი ყურძნის დამწრფვების ხანაში ვენახების მორწყვის უვარგის პრაქტიკაზე. ეს, ვიმეორებ, ხელოვნურად ზრდის მოსავლიანობას, მაგრამ აუარესებს ყურძნის ხარისხს. ვენახებმა სარწყავი წყალი უნდა მიიღონ აგროწესებით დათვალისწინებულ ვადებში.

ჩვენი კონსტრუქტორები ვალდებული არიან ყოველი ღონისძიება იხმარონ, რათა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებას მისცენ სპეციალური ტექნიკა და მევენახეები გაათავისუფლონ მძიმე შრომისაგან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინოების წარმოების ტექნოლოგია მჭიდროდ დაკავშირებულია ღვინის მრეწველობის საწარმოთა მდგომარეობასთან. როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენს მეღვინეებს აქვთ გარკვეული წარმატება. მწყობრში ჩადგა ახალი ღვინის ქარხნები, გაფართოვდა ძველები, გამოჩნდა ბევრი სრულყოფილი მოწყობილობა, გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგია. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყურძნის შეუფერებელი გადამუშავება სულ უფრო მზარდი რაოდენობით, უფრო უნდა გაუმჯობესდეს ჩვენ

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები და საუბრები გლენკოვში

(დასასრული)

...თის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. რაპაცკი და დელეგაციის სხვა წევრები.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ვ. გომულკას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბრის შემდეგ, პარკში სეირნობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვთან და ვ. გომულკასთან მივიდნენ ჟურნალისტები და სთხოვეს ეპასუხათ მთელ რიგ საკითხებზე.

კვლავ ყურადღების ცენტრში იყო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ნ. ს. ხრუშჩოვს ჰკითხა:

— თუ გენერალური მდივნის საკითხი ასე არ გადაწყდა, როგორც თქვენ იძლევით წინადადებას, ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბჭოთა კავშირი არ განაგრძობს მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. არა, არ ნიშნავს.

კითხვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს შესახებ თქვენი წინადადების მიხედვით სასურველია გამოირკვეს, როგორ მოეპყრობით საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით, თუ თქვენი წინადადება არ მიიღეს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასეთი პირობებში ჩვენ არ დავთანხმდებით საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შექმნაზე. ჩვენ არა გვსურს, რომ ასეთი ძალები იმყოფებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხელმძღვანელობაში.

კითხვა. აპირებთ თუ არა თქვენ კიდევ გამოხვიდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის ამ სესიაზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვაპირებ გამოვლას კიდევ არაერთგზის, თორემ ვერ გავამართლებ გზის ხარჯებს (გამოცოცხლება საუბრის მონაწილეთა შორის).

კითხვა. რა თემებზე გამოიყალთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს საიდუმლოებაა.

კითხვა. ამბობენ, ფიდელ კასტრო აპირებს სესიაზე 4 საათის ილაპარაკოსო. მოთმინება გეყოფათ თუ არა მოუსმენოთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მზად ვარ ვუსმინო კასტროს თუნდაც 6 საათს (გამოცოცხლება საუბრის მონაწილეთა შორის).

კითხვა. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს თანამგზავრი, რომელიც მთვარის ორბიტაზე უნდა გავიდეს*). რას იტყვით ამაზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ძალიან კარგია. თუ თქვენი თანამგზავრი წარმატებით დაეშვება მთვარეზე, ჩვენი, რომელიც უკვე დიდი ხანია იქ არის, მიესალმება მას, როგორც თავის ამერიკელ მეგობარს. ვიფიქროთ, რომ ისინი იქ კარგად იცხოვრებენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე, რაც ჯერ კიდევ გვაკლია აქ, დედამიწაზე.

კითხვა. ერთმა ამერიკელმა გენერალმა განაცხადა, რომ ამ დღეებში დაიღუპა ორი საბჭოთა კოსმონავტი, მართალია თუ არა ეს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს გენერლის ანეგდოტია (სიცილი).

კითხვა. მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ჰამარშელდი უნდა გადადგეს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მოიფიქროს და თვითონ გადაწყვიტოს.

კითხვა. თქვენი წინადადებაა, რომ თუ სხვა ქვეყნები მიზანშეწონილად მიიჩნევენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინა მოსკოვში მოეწყოს. მაგრამ თქვენში ხომ ცენზურაა უცხოელი კორესპონდენტებისათვის, დასავლეთის პრესა არ იყიდება, რადიოსადგურებს ახშობენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე უკვე ვთქვი გენერალურ ასამბლეაზე და ვიმეორებ აქ, რომ ყველა პირობას შექმნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა წარმატებით მუშაობისათვის.

კითხვა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიაჩნია, რომ ჰამარშელდი კონგოში საუკეთესო პოლიტიკას ახორციელებდა. რას იტყვით ამის გამო?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასეთი შეფასება ეწინააღმდეგება ფაქტებს. რა თქმა უნდა, ჰამარშელდი თქვენ ხელს გაძლევთ. ჰერტერი მაგრად ართმევს მას ხელს. დიდის ამბით აძლევს 5 მილიონი დოლარის ჩეკს კონგოსათვის დახმარების გაწევის ანგარიშში. სინამდვილეში კი ჰამარშელდის პოლიტიკა ზიანს აყენებდა კონგოს კანონიერ მთავრობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სამი გენერალური მდივანი რომ ჰყავდეს, როგორც ამას ჩვენ მოვითხოვთ, ისინი არ დაუშვებდნენ ისეთ მდგომარეობას, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები ეხმარებოდნენ არა კონგოს კანონიერ მთავრობას, არამედ იმათ, ვინც მის წინააღმდეგ გამოდიოდა. ქვეყანას უნდა მართავდეს მისი კანონიერი მთავრობა, და არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები.

ჩვენმა დრომ ბევრი მაგალითი იცის, როცა ადამიანებს არასწორად აფასებდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს უჭკვიანეს ადამიანად მიაჩნდა ლი სინ მანი, ხოლო სად არის ახლა ლი სინ მანი, სად იმალება?

კითხვა. კორეაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები რომ არ იყონ, მაშინ ვისი იქნებოდა მთელი კორეა — ჩრდილოეთკორეელებისა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ყოველ შემთხვევაში, კორეელებისა. აქაც ამბობ სამხრეთ კორეაში არიან უცხოეთის ჯარები, ჩრდილოეთ კორეაში კი ასეთი ჯარები არ არიან.

მინდა ერთხელ კიდევ ვთქვა, რომ ერთი კაცი ისეთ პოსტზე, როგორიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანია, ვერ დაეკმაყოფილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ყველა ჯგუფის მოთხოვნებს. როცა ცალმხრივ გადაწყვეტილებებს იღებენ, მეორე მხარე იძულებულია დაიცვაროს თავის ეროვნულ ძალებს, ჩვენ კი კონფლიქტებამდე, ომებამდე არ უნდა მივიყვანოთ საქმე. „ძალის პოზიციის“, „კომუნიზმის უკუგდების“ პოლიტიკა ბევრჯერ დამარცხდა.

გაიხსენეთ დალესი, რომელმაც გამოაცხადა „კომუნიზმის უკუგდების“ პოლიტიკა. ამ პოლიტიკის გამო ბ-ნმა სტივენსონმა ამას წინათ მეტად გონებამახვილურად შენიშნა, რომ დემოკრატები ზღუდავდნენ კომუნიზმს ევროპაში, ხოლო რესპუბლიკელები ცდილობენ ახლა შეზღუდონ იგი მანჰეტენის კუნძულების ფარგლებითო.

კომუნიზმმა მტკიცედ გაიდგა ფესვები, გადაიქცა მძლავრ ხედ და არავითარი ქარიშხალი ახლა მისთვის საშიში არ არის.

კითხვა. ამ ხემ მართლა ასე მტკიცედ გაიდგა ფესვები?

ნ. ს. ხრუშჩოვი. აბა სინჯეთ. შეარყიეთ. სცადეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოეწყოთ ინტერვენცია — არაფერი არ გამოუვიდათ.

(ამ დროს საუბრის ადგილიდან რამდენიმე მეტრზე გაისმა მოპიკეტეთა ყვირილი. ნიკიტა სერგის-ძემ ამასთან დაკავშირებით შენიშნა: —აი ესეც ამერიკული „კულტურის“ ერთ-ერთი გამოვლინებაა).

კითხვა. ჩვენმა გაზეთებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვა მთლიანად გამოაქვეყნეს, თქვენს გაზეთებში კი ეიზენჰაუერის გამოსვლის შესახებ ნათქვამია სულ 600 სიტყვა. სადღაა ინფორმაციის თავისუფლება?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ლაპარაკობთ, საქმის ვითარება კი არ იცით. ჩემი სიტყვა მთლიანად გამოაქვეყნა მხოლოდ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ისე, რომ არ დაუბეჭდავს დანართები — დეკლარაცია და ჩვენი წინადადებანი განიარაღების შესახებ.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვა კი მთლიანად დაბეჭდა ჩვენმა გაზეთმა „იზვესტიამ“, რომელიც რამდენჯერმე მეტი ტირაჟით გამოდის, ვიდრე „ნიუ-იორკ ტაიმსი“. განსაჯეთ ინფორმაციის თავისუფლება.

კითხვა. როცა რაულ კასტრო მოსკოვში იყო, თქვენ განაცხადეთ, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები მოაწყობენ ინტერვენციას კუბის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს დაარტყამსო. სწორედ ვამუქებ თუ არა თქვენს განცხადებას?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მეტ-ნაკლებად სწორია. ნუ აღელდებით. თქვენი მიმომხილველი ლიპმანი წერდა: ხრუშჩოვმა თქვა „თუო“. მაგრამ რამდენადაც ამერიკა არ აპირებს თავს დაესხას კუბას, ეს ნიშნავს, რომ ყოველგვარი საფრთხე თავიდან აშორებულია.

კითხვა. თქვენ ამბობთ, რომ სხვის ღობეს გადაღმა არ უნდა გადაიხედოთო. მაშ თქვენ პირველმა რატომ გააკეთეთ ღობე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა ღობე?

კორესპონდენტი. რკინის ფარდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თვალი გაახილეთ, ახალგაზრდავ. ყოფილხართ საბჭოთა კავშირში? ჰოო, არ ყოფილხართ! ამავე დროს კი ასეთ რამეს ამბობთ. სხვათა შორის, როცა გლეხი ბაღჩას თესავს, ღობეს ავლებს, რომ ღორმა არ გააფუჭოს ნათესი.

ჩამოდით საბჭოთა კავშირში. ვიზას მოგცემთ, და ნახავთ, რომ არავითარი რკინის ფარდა არ არის.

კორესპონდენტი. მე თავს ავაცკარგად ვგრძნობ. მე სავსებით ბედნიერი ვარ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მონაც ბედნიერად თვლის თავს, როცა ბატონის ნასუფრალს შეჭამს, თქვენ კაპიტალიზმის მონა ხართ!

კორესპონდენტი. თქვენ თვითონ გიყვართ სხვისი ღობის გადაღმა ყურება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეგ სადღა?

კორესპონდენტი. უნგრეთში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ სულ სტყუით! უნგრეთის რევოლუციური მთავრობის თხოვნით საბჭოთა კავშირი დაეხმარა უნგრელ ხალხს გაეძევებინა კონგოელი პოლკოვნიკის მობუტუს ტიპის გამცემლები.

მეზობლად კვლავ გაისმა ყვირილი. ნ. ს. ხრუშჩოვი მიუთითებს იქით და ამბობს:

— ეს რაა? ალბათ, სადილისათვის დოლარებს შოულობენ.

3. გომულკა მომართავს კორესპონდენტებს და შენიშნავს:

— გაიგეთ, რომ ჩვენ თქვენთან კი არ ჩამოვსულვართ სტუმრად, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩამოვედით. ზოგიერთი ამერიკელი კი როგორ ეპყრობა სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციებს? ეს სამარცხვინოა! დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთ სხვა ქვეყანაში არაფერი ამის მსგავსი არ იქნებოდა.

ამ დროს ჩამოდგა მანქანები, რომლებითაც გლენკოვში მოვიდნენ ნ. ვ. პოდგორნი და კ. ტ. მაზუროვი. ნიკიტა სერგის-ძე მიმართავს კორესპონდენტებს და ამბობს:

— აი მოვიდნენ მაშველი ძალები „დამონებული“ უკრაინისა და ბელორუსიის წარმომადგენელთა სახით. შეხედეთ, რა „დამონებულნი“ არიან!

კითხვა. რა მიზანს ისახავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩამოსვლით?

ნ. ს. ხრუშჩოვი. უწინარეს ყოვლისა მივაღწიოთ გადაწყვეტილებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მკაცრი საერთაშორისო კონტროლით მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

25 სექტემბერს დღის მეორე ნახევარში საბჭოთა დელეგაციის მეთაურთან ნ. ს. ხრუშჩოვთან ვიზიტით მოვიდა განის პრეზიდენტი ნკრუმა. საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და განის პრეზიდენტს შორის მეგობრული საუბარი გაიმართა.

25 სექტემბერს საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი ნიუ-იორკში დაბრუნდა.

ადამიანებს მშვიდობა სურთ

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

ბევრი სხვადასხვა შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს ამ დღეებში ნიუ-იორკში. მაგრამ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე გულშიჩამწვდომი იყო მისი შეხვედრა ამერიკელ მეცნიერ უ. პირსთან.

23 სექტემბერს, როცა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა დაამთავრა თავისი გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე და თავის რეზოლუციები დაბარუნდა, მას აცნობეს, თქვენთან შეხვედრა სურს ერთ ამერიკელ მოქალაქეს, რათა მშვიდობის ჩიბუხი გადმოგცეთო.

— კარგი, — თქვა ნიკიტა სერგის-ძემ, მოვიდეს, სიამოვნებით შევხვდები.

მალე რეზიდენციაში მივიდა უ. ო. პირსი მეუღლითურთ. ამ ხანშიშესულ მაღალ ადამიანს ხელში ჰქონდა არაჩვეულებრივი ფორმის ძველებური ინდიური ჩიბუხი. უ. პირსი და მისი მეუღლე, რომლებიც შესამჩნევად ღელავდნენ, მიესალმნენ ნიკიტა სერგის-ძეს.

უ. პირსმა უთხრა ნ. ს. ხრუშჩოვს:

— მე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრემიერს მოგართვთ ეს მშვიდობის ჩიბუხი. მე და ჩემს ამხანაგებს „არკეოლოჯიკალ არტიფექტს ენდ ანტიკვნდან“ მიგვაჩნია, რომ ეს ჩიბუხი არის სიმბოლო, რომლითაც შავფუხა ინდიელთა ტომის ინდიელები აღნიშნავდნენ, „ტომაგავკებისა“ და ომების დასასრულს ამერიკის დიდ ვაკეებში. ჩვენს წინაპრებს მიაჩნდათ, რომ ისინი სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნოდნენ. ისინი ომობდნენ, შიშს განიცდიდნენ და კვლავ ომობდნენ, სანამ არ შეიტყეს, რომ თუ კოცონს გარშემო მოუხსდებოდნენ და მშვიდად ისაუბრებდნენ, შეიძლებოდა დარდი გაეფანტათ. შემდეგ ჩიბუხს ერთიმეორეს გადასცემდნენ, მალლა ადიოდა ბოლი და ისინი დვიძლი ძმები და კეთილი მეზობლები ხდებოდნენ ადამიანის საზოგადოებაში.

დაე ატომური და წყალბადის ბომბები ნულარ შეაშინებენ ქალებს. მამაკაცებსა და ბავშვებს მთელ მსოფლიოში. დაე ჩვენი ორი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს, როცა ისინი დაიწყებენ საუბარს, დაანახვოს ამ ჩიბუხმა ახალი საუკუნე ამ ცოტა ხნის წინათ აღიარებული ამერიკელი ერებისა და ყველა ჭკუანისათვის, და თვითონ იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა სამართლიანი და სასურველი მსოფლიოს შექმნისათვის.

ამერიკელმა მეცნიერმა უ. პირსმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა მშვიდობის ჩიბუხი

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ახლა ეს ჩიბუხი თქვენია, და თქვენ და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებმა მოსწიეთ იგი სიმბოლურად ერთად.

ნიკიტა სერგის-ძემ მიიღო ჩიბუხი და მადლობა გადაუხადა ამერიკელს.

— ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და თქვენს მეუღლეს ამ ღირსსახსოვარი, სიმბოლური საჩუქრისათვის, — ამბობს ნიკიტა სერგის-ძე.

მინდა პირობა მოგცეთ, რომ ჩვენთვის ყველაზე დიადი იდეალია ხალხებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა ადამიანთა ბედნიერებისათვის. საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური მოწყობა ოვითეული ქვეყნის საქმეა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მიგვაჩნია, რომ ჩვენი სოციალური და პოლიტიკური წყობილება ყველაზე პროგრესული და სრულყოფილია. ბევრი არ გვეთანხმება. მაგრამ ეს მათი საქმეა. დაე მათ ისე იცხოვრონ, როგორც მოსწონთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გავა დრო და ისინი დარწმუნდებიან ახალი სისტემის მრავალ უპირატესობაში.

მე ძალიან მსიამოვნებს თქვენი შეხვედრა და ამ საჩუქრის მიღება. როცა ნიუ-იორკის ჭუჩებში გავდივარ, ვხედავ ბევრ ალერსიან სახეს. მე შეგნებული მაქვს, რომ ამერიკელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ესმის მიზანი ჩემი ვიზიტისა, რომელიც დაკავშირებულია მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებთან.

მაგრამ მაინც არიან ცალკეული პირები, რომლებიც, ასე ვთქვათ, მგლურ კანონებს ემორჩილებიან და ღმუიან, როცა ქალაქში დავდივარ. გამოგიტყდებით, რომ შინ ზოგჯერ ნებას ვაძლევ თავს მივიღო სიამოვნება და სანადროდ დავდივარ და ამატომ მგლის ღმუილს ვიცნობ. მინდა ვთქვა, რომ, მიუხედავად ამ ღმუილისა, ამერიკაში კარგი ადამიანი ბევრია.

თქვენ და თქვენი მეუღლე ასეთ ამერიკელებს ეკუთვნით. თქვენ კარგად იცით, თუ როგორ შუშაობენ რესტავრატორი მხატვრები, ისტორიულ სურათებს რომ აღადგენენ. ისინი ფენა-ფენად იღებენ დროის დანალექს და ორიგინალამდე აღწევენ. თქვენი მოსვლით და სამშობლოსა საჩუქრით, როგორც ყველა კეთილი ნებას ადამიანი, თქვენ ცხადყოფთ, რომ ღრმად გწამთ კეთილი ურთიერთობა ადამიანთა შორის, ერთიერთობა, რომელიც უნდა იყოს ამერიკისა და საბჭოთა ხალხებს შორის.

— ჩემმა ცოლმა და მე, — ამბობს უ. პირსი, — ბევრ ქალაქში ვმგზავრობთ და ვფიცავ, რომ კეთილი ნებას ადამიანები — ყველგან არიან. როგორც თქვენ ფიდელ თქვენს გამოსვლაში ესოდენ სწორად შენიშნეთ, ომი წარსულში უბედურება იყო და კიდევ უფრო დიდი უბედურება შეიძლება იყოს იგი თანამედროვე პირობებში. როცა ატომური ბომბებია, ომი არ შეიძლება შეზღუდული იყოს, და მე, როგორც მეცნიერს, მგონია, რომ ომი შეიძლება მთელ ცივილიზაციას დაემუქროს.

— გეთანხმებით, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — სახიამოვნოდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მე და თქვენ ერთნაირად გვესმის ის, თუ რა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ატომური ომი.

ამერიკელი მეცნიერი ამბობს, რომ სურს ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში და იმედი აქვს დახმარებას გაუწევენ მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების ნახვაში, იმედი აქვს, რომ ამ დახმარებით შეიძლება მან მან მოახერხოს გადალახოს ზოგიერთი ბიუროკრატიული დაბრკოლებანი.

— როცა ჩვენს ქვეყანაში ჩამოხვალთ, — ეუბნება ნ. ს. ხრუშჩოვი, — დარწმუნდებით, რომ ჩვენი ხალხი სტუმართმოყვარეა და რომ თქვენი წარმოდგენა ბიუროკრატიულ დაბრკოლებებზე სწორი არ არის. ჩვენი მუზეუმების კარები ფართოდ არის გაღებული სტუმრებისათვის. თუ მე წასული არ ვიქნები სადმე, როცა მოსკოვში ჩამოხვალთ, და თუ მოიხარეთ ჩემთან შეხვედრას, მოხარული ვიქნები გნახოთ კრემლში.

უ. პირსმა თქვა, ჩემი ცოლი მწერალია.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიმართა უ. პირსის ცოლს და უთხრა:

— ჩამობრძანდით ჩვენთან. შესაძლოა თქვენთვისაც, როგორც მწერლისთვის, აღმოჩნდეს ჩვენში საინტერესო ფემები. ჩვენ იმას როდი გთხოვთ, რომ გვაქოთ და გვადიდოთ. დაწერეთ სიმართლე, და მადლობელი ვიქნებით.

უ. პირსმა მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს ყურადღებისათვის.

ნიკიტა სერგის-ძემ გააცილა თავისი სტუმრები, ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა ღირსსახსოვარი საჩუქრისათვის და ჯანმრთელობა და საუკეთესო წარმატებანი უსურვა.

მდგომარეობა კონგოში

პარიზი, 25 სექტემბერი. (საკდესი). კონგოდან მიღებული ცნობები ცხადყოფენ, რომ კრიზისი, რაც ამ ქვეყანაში კოლონიზატორებმა და მათმა მარionეტებმა გამოიწვიეს, გრძელდება. პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას ძალდატანებითი იზოლაცია მის ლეოპოლდვილის რეზიდენციაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის ცალმხრივი „ჩაურევლობა“ აბრკოლებს ინარქიისა და თვითნებობის მოსპობას.

უცხოეთის საგენტოთა კორესპონდენტების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებიდან ჩანს, რომ პოლკოვნიკ მობუტუს ცდები — სხვა ამბოხებული „ლიდერების“ მხარდაჭერით დაამყაროს კონგოში ტოტალიტარული დიქტატურა, არარად ჩაიგდოს ლუმუმბას კანონიერი მთავრობა, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. მობუტუს მიერ შექმნილი „გენერალურ კომისართა საბჭო“ ბოიკოტშობილი აღმოჩნდა, როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, ამ „საბჭოს“ ყველა ცდა — განმტკიცებინა თავისი ხელისუფლება ლეოპოლდვილში და გაეკრცელებინა იგი დედაქალაქის ფარგლებს გარეთ, უშედეგო აღმოჩნდა. ცხადია, წერს კორესპონდენტი, რომ „საბჭომ“ ვერ შეძლო თავს მოუყვია თავისი ნება-სურვილი იმ პოლიტიკური პარტიებისათვის, რომლებიც კონგოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დიდნაწილნილოვან როლს ასრულებენ კონგოს ცხოვრებაში.

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). კონგოდან მიღებული ცნობების თანახმად, მობუტუ კვლავ შეეცადა გაეუქმებინა კანონიერი მთავრობა. იუნიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, რომ გუშინ მობუტუს აგენტებმა ხელი იგდეს კონგოს საინფორმაციო საგენტოს შენობა. შემდეგ მობუტუს ჯარისკაცები კვლავ შეეცადნენ დაეპატიმრებინათ პრემიერ-მინისტრი ლუმუმბა, მაგრამ აფრიკის ქვეყნების ჯარებმა, რომლებიც ლუმუმბას რეზიდენციას იცავენ, არ შეუშვეს ამბოხებულები.

იმავე დღეს მობუტუ ეწვია ლუმუმბას მისიელ რეზიდენციაში. ეს მოულოდნელი შეხვედრა, წერს ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი, ახალ შემობრუნებას მოასწავებს კონგოს ბობოკარ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ მობუტუმ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ „ეს ვნია კასავუბუსა და ლუმუმბას შერიგების მიზნით“.

პარიზი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს ცნობით, მობუტუმ გაათავისუფლა 23 სექტემბერს დაპატიმრებული პრემიერ-მინისტრის მოადგილე ანტუან გიზენგი და ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრი მორის მპოლო.

ლეოპოლდვილელი პოლიტიკური დამკვირვებლები, ნათქვამია ცნობაში, მობუტუს მანევრს განმარტავენ აფრიკის სახელმწიფოთა, კერძოდ განისა და გვინეის პოზიციით, რომლებიც ენერგიულად მოითხოვენ შერიგებას. გაზეთ „ფიგაროს“ კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან გადმოცემულ ცნობაში იუწყება, რომ პოლკოვნიკ მობუტუს აღვირახსნილი ძალის პოლიტიკის შემდგომი განხორციელება, და კერძოდ, ლუმუმბას დაპატიმრება, „არმიისა და მოსახლეობაში გამოიწვევდა დიდ რეაქციას“.

ცნობილია, წერს კორესპონდენტი, რომ მთელი აღმოსავლეთ პროვინცია ლუმუმბას დასაყრდენია... მაგრამ მობუტუს აქვს უფრო სერიოზული საფრთხეც. ახლა არმია დამშვიდებულია. მაგრამ შეეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი გადავა კასავუბუს მხარეს, ლუმუმბას წინააღმდეგ.

ბელგრადი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, პრემიერ-მინისტრმა ლუმუმბამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კონგოში გაუგზავნა წერილი, რომელშიც გადამჭრელი პროტესტი განაცხადა იმ პასიური პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიამ დაიკავა კონგოს უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით.

„მე მგონია, — წერს ლუმუმბა, — რომ გაერთიანებული ერები თავიანთი მოქმედებით არაპირდაპირ ეხმარებიან კონგოს გათიშვას და გზას უხსნიან სამოქალაქო ომს“.

წერილში გამოხატულია გაკვირვება იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიამ უპასუხოდ დატოვა ცენტრალური მთავრობის მოწოდება გაერთიანებული ერებისადმი, რომ დახმარება გაეწიათ წესრიგის დამყარებისა და იმ ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირთა განიარაღების საქმეში, რომლებიც არეულობას ქმნიან ლეოპოლდვილში.

„გაერთიანებული ერები, — ნათქვამია წერილში, — თვალყურს ადევნებენ, თუ როგორ იზრდება ანარქია და ამბოხება კონგოში და საქმეში არ ერევიან. მე არ შემიძლია ავხსნა თქვენი დუმილი იმ მრავალი მოწოდების პასუხად, რომლებითაც თქვენ მოგმართეთ... ერთხელ კიდევ დაგიბეთ ჩემი ბოლოთ მიიღოთ სასწრაფო ღონისძიებანი“.

გონის მთავრობის თავხედობა

ბერლინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომ 22 სექტემბერს დასავლეთ გერმანიის „ფ (ლათინური ასო) 86“ ტიპის ორმა გამანადგურებელმა დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე. ორივე თვითმფრინავი, რომლებიც მიფრინავდა ბად-მარტფურგიდან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) შტაპელბურგ-საკენ, შეიჭრა 300 მეტრ სიმაღლეზე დაახლოებით 8 კილომეტრზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის ამ ახალი უხეში დარღვევისათვის, ხაზგასმულია ცნობაში, მთელი პასუხისმგებლობა ბონის მთავრობას ეკისრება.

ახალი მარცხი

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების მიერ რეკლამირებული ამერიკის „მთვარის რაკეტის“ გაშვება არ განხორციელდა. ამერიკის ფეიზმათა საგენტოების ცნობით, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა, რომ კოსმოსში მთვარის გარშემო ორბიტაზე რაკეტის გაყვანის ცდა წარმატებით არ დაგვირგვინდა იმის შედეგად, რომ არ აშუშავდა რაკეტის ერთ-ეოთი საფეხური.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვედრა ფიდელ კასტროს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

23 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაში მეგობრული შეხვედრა გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა კავშირისა და კუბის დელეგაციებს შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ნ. ვ. პოდგორნი, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრები, დელეგაციების წევრები და მრჩევლები.

კუბის მხრივ: დელეგაციის მეთაური, კუბის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა, შეიარაღებული ძალების საერდალი ხუან ალმეიდა, აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი ნუნიეს ხიმენესი, ეკონომიკის მინისტრი რეხინო ბოტი, კუბის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მანუელ ბისბე. დელეგაციის წევრები და მრჩევლები.

შეხვედრის დროს, რომელმაც ფულთბილ, ფულითად ვითარებაში ჩაიარა, მოხდა აზრთა მეგობრული ურთიერთგაზიარება ბევრ დიდნაშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე, საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობის საკითხებზე.

ფიდელ კასტრომ ილაპარაკა კუბელი ხალხის ცხოვრებაზე და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, იმ სიძნელეებზე, რომლებსაც სძლევს ხალხი, ეკონომიკისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის აღმაღლობაზე. კუბის დელეგაციის მეთაურმა ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის იმ პრობლემებს, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია განიხილავს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მოუთხრო კუბელ მეგობრებს საბჭოთა ხალხის ცხოვრების შესახებ და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრული ურთიერთობა განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნების ხალხებისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება კუბელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, მისი ეკონომიკის განვითარებისათვის, და წარმატებები უსურვა კუბის მთავრობასა და ხალხს.

გვიან საღამოს, როცა ეს მეგობრული შეხვედრა დამთავრდა, ნ. ს. ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო გამოვიდნენ ქუჩაში, მათ გარს შემოეხვივნენ ჟურნალისტები.

ამერიკელი ჟურნალისტების კითხვაზე: „ასე დიდხანს რაზე საუბრობდითო“, ფიდელ კასტრომ უპასუხა: „მშვიდობაზე“. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა თქვა: „ჩვენ მხოლოდ მშვიდობაზე ვლაპარაკობდით“. ამ მოკლე პასუხით გ

მსოფლიო უიარაღოდ, მეუიდოგა ხალხებს!

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ცხოველ ინტერესს იჩენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისადმი.

სურათზე: მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ივანე წიკლაურის ოჯახში გულდასმით ეცნობიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულ სიტყვას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

★

მარად ნათელი იდეები

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე დიდი აუდიტორია პროფესორ-მასწავლებლებით, თანამშრომლებითა და სტუდენტებით აივსო. ისინი შეიკრიბნენ სახელდახელო მიტინგზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობის დაწყებას და ამ სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას მიეძღვნა.

მიტინგი გახსნა უნივერსიტეტის აღგილკომის თავმჯდომარემ, დოცენტმა პ. კეკელიძემ.

— მსოფლიოს ასეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანი, — თქვა მან, — დიდ იმედს ამყარებს გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაზე. გულდასმით წავიკითხეთ საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან. ნ. ს. ხრუშჩოვმა ერთხელ კიდევ ახადა ფარდა ომის გამჩაღებელთა ხრიკებს და დასახა გზები, რომლებიც ხელს შეუწყობენ გენერალურ ასამბლეას მიიღოს ხალხთა მისწრაფებების შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

ტრიბუნაზეა პროფ. ალ. გორგაძე.

— ჩვენი მთელი ფიქრები და გრძნობები, — ამბობს იგი, — მიმართულია გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობისადმი. ახლა იქ წყდება თანამედროვეობის ისეთი დიდი პრობლემა, რომლისაც არის საყოველთაო და სრული განიარაღება.

— ომის საშინელებათა ძირითადი სიმძიმე ახალგაზრდობას გადაეკვეს, — თქვა თავის გამოსვლაში იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ა. ჯაფარიძემ. — ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ჩვენ, უნივერსიტეტის სტუდენტები, მთელი არსებით ვართ საბჭოთა დელეგაციასთან, ნ. ს. ხრუშჩოვთან, რომელიც ყველაფერს აკეთებს მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად.

ლრმა რწმენით

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის — რუსთავის მშრომელებმა უდიდესი ინტერესით მოისმინეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ამ დიდმნიშვნელოვან გამოსვლას მიეძღვნა, მრავალმა მეტალურგმა მოიყარა თავი.

ტრიბუნაზე ადის ჩქაროსანი მეფოლადე გ. სიგუა.

— ჩვენ, მეფოლადეები, — განაცხადა მან, — გულწრფელ მადლობას ვუძღვნით კომუნისტურ პარტიას, პირადად ამხანაგ ხრუშჩოვს ადამიანთა კეთილდღეობაზე ასეთი დაუღალავი ზრუნვისათვის და პირობას ვიძლევით ახალი ძალით გავაჩაღოთ ბრძოლა კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლო ჩვენს მიერ გამოდნობილი ფოლადივით მტკიცე იყოს.

გენერალური ასამბლეის სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული გამოსვლისადმი მაძღვნილი მიტინგები გაიმართა ავრეთვე მეტალურგიული ქარხნის საგლინავ, მილსაგლინავ და სხვა საამქროებში.

მოწონება, მხარდაჭერა

ზუგდიდის რაიონის მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში გულდასმით ეცნობიან საბჭოთა კავშირის დელეგაციისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** გამოსვლას ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართულ მიტინგებზე ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის დაცვის საკითხების გადაჭრის უზრუნველყოფისაკენ.

— ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, — განაცხადა ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქანთარიამ, — როცა ყოველი ღონისძიებით უნდა მივაღწიოთ საყოველთაო განიარაღებას და მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებას.

— მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულს გაახარებს, — განაცხადა ახალსოფლის კოლმეურნეობის მეჩაიემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ, — ნ. ს. ხრუშჩოვის ნათელი, მკაფიო სიტყვა. ყველას აღფრთოვანებს მისი მოწოდება: „მოდით ვილაპარაკოთ, ვიდავოთ, მაგრამ მოდით გადავჭრათ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხები, მოდით დავასამაროთ კაცობრიობის მიერ დაწყებული კოლონიალიზმი“.

უდავოა, რომ ეს შთანაფიქრი ხორცს შეისხამს. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.



მოედანზე არიან მომავალი ოსტატები

თბილისელ სპორტის მოყვარულებს დღესაც კარგად ახსოვთ ფედოტოვის, სეგლინის, ლავრუშენკოს, კაპელკინის შესანიშნავი თამაში. ისინი წლების განმავლობაში იცავდნენ მოსკოვის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სახელს და სამამულო დიდი ფეხბურთის აკვნის ერთ-ერთი დამრწევნი იყვნენ.

„ბურევესტნიკის“ სტადიონზე გასულ კვირას მოსკოვისა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრაში დიქტორმა გამოაცხადა ფედოტოვის, სეგლინის, ლავრუშენკოს, კაპელკინის გვარები. ამჯერად იმ ცნობილი ფეხბურთელების შვილები თამაშობდნენ...

„...მოსკოვისა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდებმა პირველად ერთი კვირის წინ გაიცნეს ერთმანეთი მოსკოვში. ეს კი მათი მეორე შეხვედრა იყო.

ქართველმა ჭაბუკებმა თამაშის პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მოწინააღმდეგეს. მაგრამ ბურთის გატანა კარგახანს ვერ შეძლეს. ოცდამეხუთე წუთზე მარცხენა ფრთიდან იური ვეკუა კარგად გაიდა მცველთან, შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მოატყუა წინ გამოსული მეკარე ვალერი ბალიასნიკოვი, გადაწოდა თავისუფალ ადგილზე მყოფ ივანე ყუფარაძეს, რომელმაც ძლიერი დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის კარში გაიტანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოსკოველთა ცენტრალურმა თავდამსმელმა ვლადიმერ ფედოტოვმა შესანიშნავად გაიყვანა მასპინძელთა კართან ვლადიმერ ბისტროვი, მაგრამ მან ვერ გამოიყენა კარის აღების რეალური შესაძლებლობა. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 ქართველი ჭაბუკების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის პირველ წუთებზე ბისტროვმა გაქვითა ანგარიში. ამის შემდეგ ქართველი ჭაბუკები თითქმის დასახლდნენ მოსკოველთა ნახევარზე, მარკვენა ნახევარმცველი ნუმა კაკაჩია წააქცეს საჯარიმო მოედანზე. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა, რაც კარგად გამოიყენა გიორგი სიჭინავამ.

მასპინძელთა შეტევა არ ცხრება. თამაზ ჩიხლაძე ოსტატურად გაუსხლტა ცენტრალურ მცველს ვლადიმერ სეგლინს და მესამე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. რამდენიმე წუთის შემდეგ მოსკოველთა მარკვენა გარმარბმა ალექსანდრე აბაევმა მასპინძელთა კარში საპასუხო გოლი გაიტანა. დარჩენილ დროში კვლავ უტევდნენ ქართველი ჭაბუკები, მაგრამ ბურთის გატანა ვერ შეძლეს.

მატჩი დამთავრდა საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ნ. გაფრინდაშვილი და მ. ტოგონიძე — ფინალში



ნ. გაფრინდაშვილი

• • •

გროზნო: ქალთა საკავშირო ნახევარფინალურ ჩემპიონატში კვირას გაიმართა უკანასკნელი ტური.

სპორტის ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა ძლიერად ჩაატარა პარტია ანიშჩენკოსთან და გაიმარჯვა. მ. ტოგონიძემ ოცდამეთხუთმეტე სვლაზე აიძულა ბრილოვა დანებებულიყო. რუბცოვამ მოუგო ლიაპუნოვას, კოზლოვსკაიამ — შპაკენეს, ესტერკინამ — გრაჩოვას, კურემ — ბოტკინას, ორავმა — კოზულეევას.

ამით დამთავრდა ქალთა საკავშირო გროზნოს ნახევარფინალური ჩემპიონატი.

ცამეტ პარტიაში **ნონა გაფრინდაშვილი** ათჯერ გამარჯვებული გამოვიდა, სამი კი ყაიმით დაამთავრა, 11,5 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი 10,5 ქულით დაიკავა **მანანა ტოგონიძემ**, რომელმაც 8 შეხვედრა მოიგო, ხოლო ხუთი ყაიმით დაამთავრა. ო. რუბცოვამ და ა. კოზლოვსკაიამ ათ-ათი ქულა დააგროვეს. მეტად საინტერესოა, რომ ქართველმა მოჭადრაკე ქალიშვილებმა ტურნირში შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს და უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის პირველობაში.

კალინინი: ნახევარფინალში XI ტური გათამაშდა. ბათუმელი ა. ჩაიკოვსკაია 9 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა. ნახევარფინალის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

უჟგოროდი: ნახევარფინალურ ჩემპიონატში XII ტური დამთავრდა. დღეისათვის მდგომარეობა ასეთია: ვ. ტიხომეროვას 7,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, ტ. კრიუკოვას — 7 ქულა

მ. ტოგონიძე

• • •

და ერთი გადადებული პარტია, ე. კა[illegible] ბაძეს — 6 ქულა და ერთი გადადებუ[illegible] პარტია, ო. კაცკოვას — 5,5 ქულა [illegible] ორი გადადებული პარტია. ჩემპიონატ[illegible] დამთავრებას ერთი ტური აკლია.

ფეხბურთი

მოსკოვი. 25 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მეორე ფინალური გუნდების მოსკოვის „სპარტაკისა“ და ეკონომისტების „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მეორე ფინალური გუნდების „ადმირალტეეცის“ და მინსკის „ბელარუსის“ შეხვედრა. მატჩი დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

„ბ“ კლასი

გრძელდება საკავშირო პირველობა ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებისათვის. ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ მოკავშირე რესპუბლიკების პირველი ზონის გუნდები — ბათუმის „დინამო“ და ბრეუტის „სპარტაკი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 5:0.

მოკავშირე რესპუბლიკების მეორე ზონის გუნდებისათვის შედგა რამდენიმე მატჩი. ფერგანის „სპარტაკმა“ თავის მოედანზე მიიღო ქუთაისის „ტორპედო“. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 3:1. ტაშკენტში ადგილობრივი „მეზნატი“ შეხვდა რუსთავის „მეტალურგს“. მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 0:0. თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდმა ლენინაბადში დამარცხება განიცადა ადგილობრივ „სპარტაკთან“ ანგარიშით 0:1.

გათამაშების ცხრილები

I-VI ადგილები

პირველი წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	5	3	1	1	9:3	7
„დინამო“ (კ.)	5	3	0	2	12:6	6
„ლოკომოტივი“ (მ.)	5	2	1	2	10:10	5
ცსკა	5	2	1	2	3:9	5
„დინამო“ (მ.)	5	2	0	3	4:6	4
სკა (რ.)	5	0	3	2	3:7	3

VII-XII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ადმირალტეეცი“ (ლ.)	5	4	0	1	10:3	8
„დინამო“ (თბ.)	5	3	2	0	8:3	8
„სპარტაკი“ (მ.)	5	2	2	1	8:4	6
„დაუგავა“ (რ.)	5	0	3	2	2:5	3
„სპარტაკი“ (ერ.)	5	1	1	3	3:10	3
„ბელარუსი“ (მინ.)	5	1	0	4	2:8	2

ქართველ კალათბურთელთა გამარჯვება

კვირას კიროვის სახელობის პარკ[illegible] კალათბურთის სტადიონზე გაიმართა [illegible] ორე საერთაშორისო შეხვედრა ჩეხ[illegible] სლოვაკეელ კალათბურთელებთან. პ[illegible] ღის „სლოვან ორბისის“ ქალთა გუნ[illegible] შეხვდნენ საქართველოს პოლიტექნიკ[illegible] რი ინსტიტუტის კალათბურთელები.

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინ[illegible] რეობდა გარდამავალი უპირატესობ[illegible] ტაიმის უკანასკნელ წუთებში მასპინძ[illegible] ბმა დაკარგეს რამდენიმე გადაცემა, [illegible] კარგად გამოიყენეს სტუმრებმა.

მეორე ტაიმში ინიციატივა ხელთ [illegible] დო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გ[illegible] დმა და თამაშიც მისივე გამარჯვებით [illegible] მთავრდა ანგარიშით 49:45.

მოედანზე ქალები ვაჟებმა შეცვალ[illegible] ერთმანეთს შეხვდნენ ბრნოს „სპარტ[illegible] სა“ და თბილისის „დინამოს“ კალათ[illegible] რთელთა გუნდები.

ამ შეხვედრაშიც უპირატესობა თბი[illegible] სელთა მხარეზე იყო. მთელი მატჩის [illegible] მავლობაში თამაში დინამოელებს მიჰ[illegible] ვდათ. მაყურებლებმა კვლავ იხილეს [illegible] ნამოელთა მაღალტექნიკური, [illegible] ბილი, ტემპიანი თამაში.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დ[illegible] მოს“ გამარჯვებით ანგარიშით 79:59.

ქრონიკა

სსრ კავშირის მინისტრთა [illegible] სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინ[illegible] ტრის მოადგილე ამხ. ვალერიან ალექს[illegible] დრეს-ძე **ზორინი** დანიშნა სსრ კავშ[illegible] მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებ[illegible] ლი ერების ორგანიზაციაში და სსრ [illegible] შირის წარმომადგენლად გაერთიანებ[illegible] ლი ერების ორგანიზაციის უშიშრ[illegible] საბჭოში.

• • •

სსრ კავშირის მინისტრთა [illegible] დანიშნა ამხ. არკადი ალექსანდრე[illegible] **სობოლევი** სსრ კავშირის საგარეო [illegible] მეთა მინისტრის მოადგილედ და გა[illegible] ვისუფლა იგი გაერთიანებული ერ[illegible] ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდ[illegible] წარმომადგენლის მოვალეობისაგან [illegible] გაერთიანებული ერების ორგანიზაც[illegible] უშიშროების საბჭოში სსრ კავშ[illegible] წარმომადგენლის მოვალეობისაგან.

28 და 29 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლობა, ალაგ-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 10-15, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 5-10, დღისით 17-22 გრადუსი.

ამინდი

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 9-14, დღისით 18-23 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 2-7, დღისით 13-18 გრადუსი.

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი

ამერიკული ბალეტის გასტროლებზე

ამერიკული ბალეტის ოსტატთა გასტროლები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში თავისებური მოვლენაა ჩვენი დედაქალაქის თეატრალურ ცხოვრებაში.



პირველი საგასტროლო პროგრამა შედგენილია ისევე, როგორც საერთოდ მიღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში — კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის შერწყმით. პირველად ნაჩვენები იყო ჯორჯ ბალანჩინის მიერ დადგმული ბალეტი „თემა ვარიაციებით“ (პ. ჩაიკოვსკის მუსიკით). ჯორჯ ბალანჩინი გახლავთ ჩვენი თანამემამულის, ცნობილი კომპოზიტორის შვილის გიორგი მელიტონის-ძე ბალანჩივაძის ფსევდონიმი. გ. მ. ბალანჩივაძე დედის სურვილით, რომელიც ბალეტის დიდი მოყვარული ყოფილა, ჯერ კიდევ პატარობისას ჩარიცხეს პეტერბურგის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

დრო სწრაფად გარბოდა. გ. ბალანჩივაძე, როგორც კი მან დაამთავრა სასწავლებელი, ს. დიაგილევის მიწვევით პარიზს გაემგზავრა. მან დიაგილევისაგან რჩევი გამოიცვალა გვარი.

ჯორჯ ბალანჩინი ევროპაში უკვე აღიარებული ბალეტმეისტერი იყო, როცა ბოსტონის ახალგაზრდა ბალეტომანმა ლინკოლნ კირსტეინმა 1933 წელს წინადადება მისცა ამერიკაში გადასულიყო. ამყამად ჯ. ბალანჩინი ითვლება ერთ-ერთ გამოჩენილ ამერიკელ ბალეტმეისტერად და მხატვრულ ხელმძღვანელობას უწევს მისსავე აღზრდილ საბალეტო დასს, რომელიც „ნიუ-იორკის საკალაქო ბალეტის“ სახელწოდებას ატარებს.

„თემა ვარიაციებით“ დადგმულია 1947 წელს პ. ი. ჩაიკოვსკის „სიუიტა № 3“-ის მუსიკაზე. ბალეტი გადაწყვეტილია ზუსტი კლასიკური მანერით, წამყვანი პარტია მოცეკვავე მამაკაცს აქვს მიკუთვნებული. ბალეტში არ არის სიუჟეტური ფაბულა: ის შედგება ერთიმეორის შემცვლელი კომპოზიციებისაგან, რომლებიც სავსებით შეთანხმებულია მუსიკის ტემპთან და რიტმთან. ბალეტის მოქმედი პირები არიან მოცეკვავე ქალი, მოცეკვავე კაცი და კორდებალეტი.

მაღალი პროფესიონალიზმით და დიდი მხატვრული გემოვნებით ცეკვავენ თავიანთ პარტიებს ლიუბ სერანო და როის ფერნანდესი. კორდებალეტიც დიდ ქებას იმსახურებს. მაგრამ ჯ. ბალანჩინის ბალეტს, ჩვენი აზრით, აკლია ის ემოციური და შინაგანი ნვა, ურომლისოდაც პ. ჩაიკოვსკის მუსიკა წარმოუდგენელია.

ბალეტ „ედდების ტბაში“ ოდილიას და უფლისწულ ზიგფრიდის დუეტს ასრულებენ საბალეტო ხელოვნების ვირტუოზები მარია ტოლჩიფი და ერიკ ბრუნი. მათი დახვეწილი ოსტატობა პირველ რიგში სცენური სახის გამოკვეთით გამოიხატება, ყოველი მოძრაობა ქორეოგრაფიულ ხერხებზეა აგებული.

ჩვენი აზრით, ამერიკული პრესა გაზვიადებულ შეფასებას აძლევდა მარია ტოლჩიფის ხელოვნებას.

ერიკ ბრუნი მხატვრული თვისებებით არის დაჯილდოებული: ზომიერი სცენური მიმზიდველობა, მოხდენილი გარეგნობა, კეთილშობილი აღნაგობა. მისი შესანიშნავი ცეკვები — ნახტომები, სწრაფი პირუეტები — სრულქმნილი შესრულებით, ტემპერამენტით, ლამაზი პლასტიკური პოზებით, მოძრაობით არის შემკული.

ორივე ბალეტის ორკესტრი კარგად მიჰყავთ დირიჟორებს კონტ შერმერჰორნს და იური კრასნოპოლსკის.

მაყურებელი ინტერესით შეხვდა ამერიკელი კომპოზიტორის აარონ კოპლენდის ბალეტს „როდეოს“. კომპოზიტორს გადაეყავართ ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთში, სადაც საქონლის დღეობას იხდიან და უჩვენებენ: შეჯიბრებას ცხენების ხედვნა-მოთვინიერებაში, მარულას, პირუტყვის დადაღვის ოსტატობას და ქამანდის ტყორცნას.

ბალეტმეისტერმა აგნესა დე მილმა შექმნა დასამახსოვრებელი ლამაზი სანახაობა, რომელიც კოვბოების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე მოგვითხრობს.

ახალი წიგნები

ნელს მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ რუსულ ენაზე გამოსცა ილიას ერენბურგის ორი ნაშრომი — „ბეჭედი“ და „ბალა ანჯელინა“.

ტარიელ კვანტილაშვილი. „მ. ჯავახიშვილის ადრინდელი პუბლიცისტიკა“, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. რედაქტორი ე. ბოცვაძე. ტირაჟი 1.000, ფასი 4 მანეთი და 25 კაპ., გვ. 127.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ეკონომიური ფაკულტეტის ხელმოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე (ყოფილი დაუსწრებელი ეკონომიური ფაკულტეტი და საქონელმცოდნეობისა და ვეტერობის ეკონომიკის დაუსწრებელი ფაკულტეტი) **სახელმწიფო გამოცდები იწყობა ა. წ. 18-დან 31 ოქტომბრამდე.**

განცხადებების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 10 ოქტომბერი.

ხელმოწერა სოციალისტური ქვეყნების ჟურნალებზე 1961 წლისათვის გრძელდება 5 ნოემბრამდე, გაზეთებზე — 25 ნოემბრამდე.

ინდივიდუალური ხელმოწერა 1961 წლისათვის ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე **დაიწყება 1 ოქტომბრიდან.**

ცენტრალურ ჟურნალებზე **ხელმოწერა** დამთავრდება 2 დეკემბერს, გაზეთებზე — 15 დეკემბერს, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე — 22 დეკემბერს.

„სოიუზპეჩატი“.

„კვლავ ჩამოვალ საქართველოში“

— ამბობს ჰარი ბელაფონტე

„უნდა ვაღიარო, რომ მიძნელდება გამოთხოვება მშვენიერ საქართველოსთან, მის გულისხმიერ ხალხთან, რომლის სტუმართმოყვარეობას საზღვარი არა აქვს, მიჭირს გამოვეთხოვო ჩემს ძვირფას ქართველ მეგობრებს, რომლებიც ძლიერ შევეყვარე, — განუცხადა საქმესის კორესპონდენტს თბილისიდან მოსკოვს გაფრენის წინ პოპულარულმა ამერიკელმა მომღერალმა ჰარი ბელაფონტემ. — მე განზრახული მქონდა საქართველოში სამ დღეს დარჩენა, სინამდვილეში კი ვერ შევძელი გამოვთხოვებოდი თქვენს ზღაპრულ მხარეს ათი დღის განმავლობაში, — განაგრძო მან. — მივდიგარ რა თბილისიდან, აქ ვტოვებ საკუთარი გულის ნაწილს და ვოცნებობ კვლავ შევხვდე საბჭოთა ხალხს“.

სახელგანთქმული ზანგი მომღერალი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ტურისტად იმყოფება, გაეცნო საქართველოს მრავალ ღირსშესანიშნაობას, ქართველ მშრომელთა ცხოვრებას.

ჰარი ბელაფონტე გულთბილად გაეცალეს თბილისს აეროდრომზე. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული სტუმარი მხურვალედ გამოეთხოვა გამცილებლებს.

„კვლავ ჩამოვალ საქართველოში და ვიმღერებ. ვიმღერებ ბევრს, ძლიერ ბევრს თქვენთვის, საბჭოთა მეგობრებო!“ — განაცხადა გამოთხოვებისას ჰარი ბელაფონტემ.

(საქმესი).

27 სექტემბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ამერიკული ბალეტის თეატრის გასტროლები — მესამე პროგრამა, რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, გრიბოედოვის სახელობის — გაზაფხულის ვიოლინები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ბეტკა კოსმოსში (ამ. № 25, 10 ს., ამ № 23, 5 ს.), ფილარმონიის საზაფხულო — იტალიური სიმღერების საღამო — გუალტიერო მიზიანო.

ტელევიზია: გადაცემა მოსწავლეთათვის — შეხვედრა ჟურნალ „ლილის“ რედაქციასთან, 19.20 — კინონარკვევი, 19.35 — ლიტერატურული პორტრეტი — ნ. ლორთქიფანიძე (დაბადების 80 წლისთავის გამო), 20.15 — კინოჟურნალი, 20.25 — ახალი ამბები, 20.40 — ახალი მხატვრული ფილმი — „რაზმის მეთაური“.

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 100.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

მომდინარე წლის 30 სექტემბერს ქ. მოსკოვში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა ორი ტირაჟი — 77-ე ძირითადი და მე-13 დამატებითი.

ძირითად ტირაჟებში გათამაშდება **50.000, 20.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ** მოგებები.

ამას გარდა, დამატებითს ტირაჟში გათამაშდება **100.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ** მოგებაც.

სულ 14 თანრიგზე ძირითად ტირაჟში გათამაშდება **65.102.800 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ 119.000 მოგება,** ხოლო დამატებითს ტირაჟში — **159.468.400 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ 161.000** მოგება.

დამატებითს ტირაჟში მონაწილეობენ ობლიგაციები, რომელთაც თან ახლავს № 13 ტალონი.

სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს ყიდის და თავისუფლად ყიდულობს ყველა შეძნახველი სალარო.

ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲘᲘᲦᲔᲗ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲨᲘ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

ᲣᲪ 04381

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.